წელიწადი მეორე ფასი 5 კაპ. კვირა, 10 მკათათვე 1916 წ. № 152

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

**განცხადების ფასი**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., მე-4 გვერდზე—10 კ., კანტორაში გამოცხადებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ.
**დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.**



ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**უპრემიოდ ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 40 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან. გაზეთი ყველა პრემიებით 9 ძნითად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.
**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი **ხანდრო შანშიაშვილი.**

## „ახალ კლუბისათვის“ საჭიროა ხელზე მოსამსახურენი (ოფიციანტები) ილებენ მანდილოსნებსაც
**მისამართი:** „ახალ კლუბის“ კანტორაში დილით 11—3 საათ. და საღამოს 8—11 საათამდე. (3—169—1)

## განცხადება
### ახალი კლუბის მამასახლისთა საბჭო
ამით აუწყებს რა კლუბის წევრთ, რომ რადგანაც დანიშნული არაჩვეულებრივი საზოგადო კრება ივნისის 20 არ შესდგა სამაგიერო მეორე კრება დანიშნულია ამა თვის ივლისის 17, კვირას დილის 12 ს.
თანახმად § 29 კლუბის წესდებისა კრება კანონიერათ ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.
**განსახილველია შემდეგი საკითხები:** მიმდინარე კითხვები და არჩევნები მუდმივ მოსიარულეთა. (1-171-1)

## ხარფუხის საზოგადო კლუბი
(მიხეილის პროსპექტი № 131, საზაფხულო შენობაში)
კვირას, 10 მკათათვეს
**ივ. სარაჯიშვილის, ვ. მირსკაიას და ინაშვილის** მონაწილეობით გაიმართება
**კონცერტი** ორის განყოფილებით.
როიალთან **ო. რავენსკაია.**
**დასაწყისი საღამოს 9 საათზე.**
წარმოდგენაზე შესვლა უფასოა. ბალში დაუკრავს საზანდარი.
(1—172—1) სტუმრები საზოგადო წესით

## ვამზადებთ
**პირობით** ხელმისაწდომ ფასებში
**პრაპორშჩიკთა სკოლისათვის**
მეცადინეობა დაიწყება 20 თიბათვიდან. პირადათ მოლაპარაკება საღამოს 6—7 საათამდე.
**მისამართი:** მოსკოვის ქუჩა, სახლი 24, ბინა 1. 25—128—22

**უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა**
ექიმი
## ა. დ. შაჰაბაზიანცი
ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა**
## ახალი აფთიაქი
✦ **პროვიზორის ახვლედიანისა** ✦

ექიმი
## მ. დ. წინამძღვრიშვილი
**უ. ორდინატორი ხარკოვის** უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და **იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს:** გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. **№ 36,** მეორე სართული.

**დ. ზესტაფონში**
ექიმი
## დ. კ. მაჭავარიანი
**იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე**

ექიმი
## მ. ი. ვაჩნაძე
იღებს ბავშვთა და **შინაგან სნეულ. ავადმყოფებს** მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—9)

**დოქტორი მედიცინისა**
მოსე ანთიმოსის ძე
## კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს თიბათვის 15-დან ილებს მანგლისში** კორპუსის ბანაკში

**კბილის ექიმმა**
## მამულაიშვილმა
(ხოდნევისამ)
განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

**ექიმი-დოსტაქარი**
## გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

## ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, **№ 19.**

## უცხო სიტყვათა ლექსიკონი
### იოსებ იმედაშვილისა
იბეჭდება (უკვე 200 სვ. დაბეჭდილია). **ხელის მოწერა გრძელდება.** ძველი ხელის მომწერლებისთვის (ვინც ამა წლის 1 თებერვლამდის მოაწერა ხელი) წიგნი ღირს **2 მან.,** ახალ ხელის მომწერთათვის (წიგნზე სახელ-გვარის ასოების ამობეჭვდით) **2 მან. 50 კაპ.** ფული უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“—Іос. Имедашвили. პატივისცემულ აგენტებსა ვსთხოვთ, შეკრებილი ფულის გამოგზავნა დააჩქარონ. თბილისში ხელის მოწერა მიიღება „სორაპანი“-ს სტამბაში, მადათოვის კუნძულზე, № 1. (3-167-1)

## ვაგზლის სამკურნალოში
(**შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით**)
### სამკურნალოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.
აგრეთვე ექიმი—ქალი **მარ. კონ. იოსელიანისა მიიღებს დედათა სნეულებით** ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.

**პირველ ხარისხოვანი რესტორანი**
## კაფე პარიზი
ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.
(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)
**სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში“ შეიძლება.**
**ფასები ყველასათვის ხელმისაწდომია**

**ყოველ დღე მზადდება**

| | |
|---|---|
| საუზმე | ჩაი |
| სადილები | ყავა |
| ვახშმები | ხაჭაპური |
| | პიროჟკები |

**ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.**
პატივისცემით **სილ. ხ. გიგიბერია.**

ღვინის საწყობი
## ნიკო გ. სესიაშვილისა
✦ **იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი** ✦
## კახური ღვინო
**განოვის ქუჩა № 4.**
——— სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა. ———
(185—წ.)

## საუკეთესო კახური ღვინის საწყობი
### ადამ ზურაბის ძის ბერელაშვილისა
**მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.** (102—წ.)

## ქ. ბაქოში ღვინით ვაჭრობა „მელაანი“
### თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
**იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები** (112—წ.)

## შეშის საწყობი
### ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
**ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასზ**
## საკუთარი ტყიდან
**საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც**
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

## სავალანტერიო მაღაზია
### ერ. ივ. ჭავჭანიძისა და ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
**იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:**
**ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი**
(101—წ.)

## ახალი კლუბი
**ერთი კვირის პროგრამა** 11—17 **მკათათვემდე.**
**ორშაბათი**—სინემატოგრაფი—კონცერტი სიმფონიური ორკესტრისა მ. ა. ვოლფიზრაელის ლოტბარობით.
**სამშაბათი**—სიმფონიური კონცერტი ბ. ა. გესის ლოტბარობით.
**ოთხშაბათი**— სინემატოგრაფი—კონცერტი—როტტრისა. ვოლფ-იზრაელის ლოტბარობით.
**ხუთშაბათი**—ქართული წარმოდგენა—სამხედრო ორკესტრი.
**პარასკევი**—სინემატოგრაფი, კონცერტი სიმფონიური ორკესტრისა ვოლფ-იზრაილის ლოტბარობით.
**შაბათი**—ბენეფისი ბ. ა. გესისა, კონცერტი სიმფონიური ორკესტრისა ბ. ა. გესის ლოტბარობით. მონაწილეობენ სოლისტები.
**კვირა**—საბავშვო საღამო—სინემატოგრაფი. სამხედრო ორკესტრი.
დასაწყისი: კონცერტებისა საღ. 9 საათზე.
„ სპექტაკლისა 8½ საათზე.
„ სინემატოგრაფისა 8½ საათზე.
კლუბში შესასვლელი ფასები ჩვეულებრივია. შაბათს შესასვლელი ფასი მამაკაცისა 1—05 კაპ., მანდილოსნებისა და სტუდენტებისა—65 კაპ. (1—174—1)


## თბილისი, 9 მკათათვე

**სომხების პოლიტიკა საქართველოში**

მრავალმხრივად საყურადღებო მუშაობას აწარმოებენ სომხები ჩვენს ქვეყანაში. მათი ეროვნული საქმიანობის მრავალი ნაბიჯები ჩვენთვის დაფარულია, მაგრამ ისიც, რაც ყველას თვალწინ სწარმოებს, საგულისხმო და საყურადღებოა.

ამ ნახევარი საუკუნის წინეთ ჩვენს სამშობლოში მობინადრე სომხობა ქართველობისგან გამოყოფას, ეროვნულ განცალკევებას სრულიადაც არ სცდილობდა. ათში ერთი თუ აღიარებდა თავის თავს სომეხად. საუკუნეთა განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში შემოხიზნული ქართული ზნე-ჩვეულებებით გამსჭვალული, ქართულ ენაზედ მოუბარი საქართველოს სომხობა განურჩეველი იყო ქართველობისაგან ყოველდღიურ საზოგადოებრივ ცხოვრების ჰირსა თუ ლხინში. რასაკვირველია, სომხური ეროვნული პოლიტიკა ჩვენს სამშობლოში ამაზედ უფრო ძნელია. მაგრამ უკანასკნელ ხანამდე ამ პოლიტიკას აწარმოებდენ ვიწრო სომხური წრეები, ჯგუფები და მათი ფანტასტიური ლტოლვილებანი დიდს სომხეთზედ, რომელსაც უნდა მოემწყვდია თავის ფარგლებში თითქმის მთელი მცირე აზია და ამიერ კავკასია, სომხის ფართო საზოგადოებისათვის უცნობი და უცხო იყო. უკანასკნელ ხანებში სურათი გამოიცვალა. დიდი სომხეთის იდეა, რომლის განხორციელებას უნდა ემსხვერპლა არა ერთი და ორი ეროვნების რეალური ინტერესები, ფრიად პოპულიარული გახდა სომეხთა მასსაში. საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში მცხოვრები სომხობა სცდილობს რაც შეიძლება მეტად გამოეყოს ქართულ საზოგადოებას და უცხოთა შორის შექმნას საკუთარი, სავსებით განკერძოებული ცხოვრება. ამ მიზნით ისინი სცდილობენ დაივიწყონ მათ მამაპაპათაგან შეხორცებული ქართული ენა და შეისწავლონ სომხური, იცვლიან გვარებს ქართული დაბოლოვებით, შორდებიან სავსებით ქართულ მწერლობას, ხელოვნებას, რომელსაც ისინი აქამომდე ერთგულად ემსახურებოდენ და სხ.

ყოველივე ეს შეიძლება ბუნებრივი შედეგი იქმნებოდა ეროვნული თვითშეგნების, რომელმაც მათში გამოიღვიძა და ფეხი მოიდგა, მაგრამ ეს სომხობის ეროვნული ამოქმედება ამაზედ არ ჩერდება. სომხურ წრეებში სთესენ ქართველებისადმი მტრულ განწყობილებას და ეს ფრიად დიდ ნაყოფს იღებს. ყოველგვარ ადგილობრივ ცხოვრების საკითხებში, სომხობა ქართველობის საწინააღმდეგო პოზიციას იჭერს. სულ ერთია მოითხოვს ამას მათი ინტერესები თუ არა. გარეთ და შინ სწარმოებს ფართე პროპაგანდა, რომ ამიერ კავკასიაში ერთად-ერთ პროგრესიულ და კულტუროსან ძალას სომხობა წარმოადგენს, რომ მათ ხელშია საქართველოს და მთლად კავკასიის განვითარების საჭე და სხ. ყოველგვარი ქართული სამართლიანი სურვილის და მისწრაფების არაფრად მიღება, აბუჩად აგდება, უყურადღებობა-ჩვენებურ სომხობაში ჩვეულებად და წესად გადაიქცა. ამის უფრო აშკარა მაგალითებს გვაძლევს თბილისისა და სხვა ქალაქების, სადაც სომხობა ბინადრობს, არჩევნები, საერობო თათბირები და სხ.

ქართველობისადმი ასეთი განწყობილების განმტკიცება სომხობაში უთუოდ ხანგრძლივის და ბეჯითი მუშაობის ნაყოფი. მცირერიცხოვან სომეხ შოვინისტების მისწრაფებები მხოლოდ ამ გზით შეეძლო შეეთვისა და მიეღო სომხის მასსას. ეს მუშაობა მით უფრო ნაყოფიერი გამოდგა, რომ მას თითქმის არავითარი დაბრკოლებები და წინააღმდეგობა არ გამოუწვევია იმათში, ვის წინააღმდეგ ის იყო მიმართული. გაქართველებული სომხობის ისევე გასომხება თუ ქართველი საზოგადოებისთვის სახიფათო და საშიში არ იყო, ჩვენ საზოგადოებას ქართველების გასომხებისთვის მაინც უნდა მიექცია ყურადღება. საქართველოში ძველთაგან მოიპოვებოდა გრიგორიანთა სარწმუნოების ქართველობა, ისევე როგორც კათოლიკე და მაჰმადიანი ქართველობა. დღეს-დღეობით ეს ქართველი გრიგორიანები სომხებათ არიან ჩარიცხულნი. სომეხ პროპაგანდისტებმა სავსებით გამოიყენეს თავისი ეკლესია, რომ ეს ნაწილი საქართველოს ეროვნული სხეულისა შეუმჩნევლად მისთვის ჩამოეჭრათ. მათი ცდა-მეცადინეობით ქართველი გრიგორიანები თითქმის სავსებით ჩამოშორდენ ქართულ ცხოვრებას და თავის-თავი სომხებად გამოაცხადეს.

დიდი შედეგები გამოიღო სომხების ასეთმა პოლიტიკამ, მაგრამ ეს მათ კიდევ არ აკმაყოფილებს და ისინი მუშაობას კიდევ უფრო აფართოვებენ და აცხოველებენ. ეკლესია, სკოლა და მრავალი მათი ეროვნული საზოგადოებები ამ ასპარეზზედ ხელიხელ ჩაკიდებული მოღვაწეობენ, უპირველეს მათ მზრუნველობას სომხური ენის განმტკიცება წარმოადგენს. ამ მიზნისთვის ისინი მართავენ მრავლად დაბალ სკოლებს, სადაც ბავშვებს სომხურ ენას ასწავლიან. ასეთ სკოლებში ბავშვები ქართულად ლაპარაკისთვის სასტიკად ისჯებიან. ასეთი სკოლების საშვალებით მათ უნდათ საქართველოში შექმნან ახალი სომხური თაობა, რომელიც სავსებით ჩამოშორებული იქმნება ქართულ მწერლობას, თეატრს და ყოველგვარ ქართულ საქმეს. ამ მოკლე ხანში თბილისში შესდგა სომხის სამღვდელოების კრება, რომელზედაც გამოიტანეს გადაწყვეტილება, რომ გაიხსნას მთელი რიგი სამრევლო სასწავლებლებისა **ისეთ რაიონებში, სადაც სომხობა არ ლაპარაკობს სომხურ ენაზედ.** სომხური სასულიერო სწავლის საჭიროება, რასაკვირველია ერთნაირი იქმნება ყველგან, სადაც კი გრიგორიანები სცხოვრობენ, მიუხედავად იმისა რა ენაზე ლაპარაკობენ ისინი, მაგრამ სომხის სამღვდელოება სკოლებს იქ აძლიერებენ, სადაც გრიგორიანები სომხურ ენაზედ არ ლაპარაკობენ. ასე რომ ახალგაზრდა თაობას გრიგორიანებისას ყოველმხრივ მზრუნველობენ—სასულიერო და საერო სკოლები მათ სომხურ ენას უნერგავენ. რომ ეს უფრო უზრუნველყონ, სომხები **ამ მოკლე ხანში გამოსცემენ გაზეთს ქართულ ენაზედ.**

ეს გაზეთი ემსახურება ისეთს წრეებს, რომელთათვის სომხური სკოლის პოლიტიკა არ გამოადგება—სომხობის ძველ თაობას. სომხურ ნაციონალიზმისთვის ეს ყველაზედ უფრო ფასიური

მასსაც უნდათ გამსჭვალონ შოვინისტური იდეალებით, რომ თუ მათ ვერ შესძლეს სავსებით, სულიერად და ფიზიკურად ქართველობის ჩამოშორება, მომავალ თაობას მაინც მისცენ წმინდა სომხური აღზრდა.

ასე მტკიცედ და ენერგიულად მოქმედებენ სომხები ჩვენს სამშობლოში, რათა საქართველოში შექმნან გაქართველებულ სომხობისაგან და ქართველ გრიგორიანებისაგან შექმნან ყოველმხრივად ქართველებისაგან გამოყოფილი სომხური ეროვნება,

# მოლაშქრეთა გაწვევის გამო

ომმა ახალი მსხვერპლი მოითხოვა; საჭირო შეიქმნა ახალი ჯარისკაცები.

ამ თვის ხუთმეტიდან ჯარში უნდა გაიყვანონ პირველი ჯერის მოლაშქრენი („წითელ ბილეთიანები“) 1893 წლამდე, ხოლო მეორე ჯერის მოლაშქრენი („ლურჯ ბილეთიანები“) 1901 წლამდე. ამ ბრძანების აღსრულებაში მოყვანის შემდეგ „წითელ ბილეთებიანებიდან“ მთელს იმპერიაში გასაყვანი არავინ დარჩება, სულ ყველა ჯარში იქნება გაწვეული, ხოლო „ლურჯ-ბილეთიანებიდან“ კიდევ დარჩება გასაყვანი ვისაც სალდათობა მოწევია 1893 წლიდან 1901 წლამდე, ესე იგი მთელი რვა წლის კონტინენტი.

ამ ახალი ბრძანების ძალით, საქართველოს ერთბაშად მოაკლდება ყველა „ლურჯ-ბილეთიანი“ ვაჟკაცი, ხნით 35 წლამდე და ყველა „წითელ ბილეთიანი“ ხნით 35 წლიდან 45 წლამდე, უფრო ახალგაზდა „წითელ ბილეთიანები“-კი როგორც ვიცით, უფრო ადრე გაიწვიეს. ყოველს ეჭვს გარეშეა, ამდენი მუშა ხელის ერთბაშად წასვლა ქვეყნის მეურნეობას და მთელ ეკონომიურ ცხოვრებას დიდათ დააჩნდება და ძირს დასცემს. ყველა ამას შეიძლება ანგარიში არ გაუწიოთ, თუ სახელმწიფოს უაღრესი ინტერესი ამას აუცილებლივ საჭიროებს. მაგრამ, ხვთის წყალობით, რუსეთის იმპერიაში მეომარ ხალხის სინაკლულე არ ყოფილა და სწორედ ეს გარემოება საშუალებას აძლევდა მთავრობას ერთნაირი ტემპერამენტი გამოიჩინა მოლაშქრეთა ჯარში გაწვევის საქმეში. მეომართა სიუხვის წყალობით, მთავრობა ახერხებდა ადგილობრივი ინტერესისა და სახელმწიფო ინტერესის ერთმანეთთან შეხამებას; მას იმ რაიონიდან უფრო ადრე გაჰყავდა მოლაშქრენი, სადაც ყანის დამუშავება და მოსავალი უკვე მორჩომილი იყო, ვიდრე იმ რაიონიდან, სადაც ამ ხასიათის მუშაობა ჯერ კიდევ დაუმთავრებელი იყო. ჯარში გაწვევის საქმეში მთავრობა სახეში იღებდა ამა თუ იმ ხალხის, ამა თუ იმ კუთხის, თუ სამეურნეო საზოგადოების თუ გეოგრაფიულ-ტოპოგრაფიულ, თუ რელიგიურ თავისებურობას. დღევანდელს ძნელ პირობებში მთავრობის მხრივ იყო ერთგვარი ცდა, ერთგვარი მეთოდი და ერთგვარი შერჩევა ჯარის კაცთა გაწვევაში. ამით უნდა აიხსნას, რომ შიდა რუსეთში „ლურჯ-ბილეთიანები“ კარგა ხანია რაც გაიწვიეს, ხოლო ჩვენში დღემდე „ლურჯ-ბილეთიანებისთვის“ ხელი არ უხლიათ. ამით უნდა აიხსნას ისიც, რომ რუსეთში „წითელ ბილეთიანები“ 1895 წლამდეა გაყვანილი, ხოლო ჩვენში მხოლოდ 1901 წლამდე.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ დღეს ეს გონივრული მეთოდი რამდენიმეთ დარღვეულია, მხოლოდ იმიტომ რომ სხვა და სხვა მიზეზის გამო და ყველასდა სამწუხაროდ ადგილობრივი ეკონომიური ცხოვრების პირობები მთელის თავის სინამდვილით შეგნებული და გათვალისწინებული არ არის. კერძოდ საქართველოში რთველი და მოსავალი ჯერ დამუშავებული არ არის, სიმინდი, ყურძენი და მთიან ადგილებში პურიც კი მოუწეველია. ისე რომ ჩვენი ქვეყნის არსებობის მთავარი ძარღვი—სიმინდი — პური — ყურძენი უნდა დარჩეს მოუვლელი და სრულიად უპატრონო. ქართველმა ქალმა თავის ტრადიციაც რომ დასძლიოს— მაინც ვერ შეავსებს მუშა ხელის ნაკლებობას და წინა წლების მოუსავლობით დაუძლურებულ ქვეყანას ახალი კრიზისის ატანა არამც და არამც არ შეეძლება. ეს კი სრულიად უსარგებლო მსხვერპლი იქნება. ჯარში გაწვეული მოლაშქრე გულგანახევრებული იქნება, შინ რომ ულუკმაპურო ცოლშვილი ეგულება, ხოლო შინ დარჩენილებიც აბა რა ზურგის გამამაგრებელი უნდა იყვნენ, როდესაც სამყოფი სარჩო-საბადებელი ეკლებათ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მისი იმპერატორებითი უმაღლესობა, დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, რომელიც განსაკუთრებულის გულისყურით ეკიდება მისდამი რწმუნებულ ქვეყანას, ყურადღებას მიაქცევს ჩვენი ქვეყნის სამეურნეო საქმიანობის ამ თავისებურობას და ჩვენი მოლაშქრეთა ჯარში გაწვევის ვადის დასადებათ იმ მოსაზრებით არ იხელმძღვანელებს, რომ რუსეთში რთველი და მოსავალი აღებულია და ოჯახიც უზრუნველ-ყოფილი და რომ იქ, მაშასადამე, ვაჟკაცის გაყვანაც შეიძლება ქვეყნის დაუზარალებლად ეკონომიურის მხრივ. გვწამს, რომ დიდი მთავარი ანგარიშს გაუწევს სწორედ ადგილობრივ პირობებს და იმის კვალობაზედ ინებებს შემოდგომამდე ჩვენს ქვეყანას შეუნარჩუნოს მუშა ვაჟკაცები. რთველის გათავების შემდეგ ჩვენი მეომრებიც უფრო სუბუქად და იმედიანად გაექანება, საითკენაც მთავრობის ბრძანება მოუწოდებს.

# პრესის ზნეზე

გაზეთის ოდენა მკითხველი არც ერთ სხვა სტამბას არ ჰყავს. გაზეთი ყოველ დღე ესაუბრება მრავალ ათას მკითხველს: ქალს, მამაკაცს, ახალგაზდას თუ ხანში შესულს. აბა რა არის გაზეთთან შედარებით ჟურნალისა და წიგნის ბაზარი. ერთი მეორეს ისეა დაშორებული, როგორც ცა დედა-მიწას. საჟურნალო წერილი, დიდი მოფიქრებისა და შელამაზების შემდეგ რომ იბეჭდება, ფართე საზოგადოებას არ იცნობს, ვიწრო წრეს ვერ სცილდება. ასეა წიგნიც. და ადამიანის გონებისა და გრძნობის სერიოზული ნამუშავარი, მდიდარი იდეებით და შინაარსით, ლამაზი სტილით და მოყვანილობით, წიგნი თუ ჟურნალი,—რომელთა შესადგენად ავტორებს თვეები დაუხარჯავთ და თავიანთი გონებისა და გრძნობის თავანკარა სიძლიერე და სიქორფე შეულევიათ,—სრულიად უცნობი რჩება მრავალი ათი ათასი მკითხველისათვის. გაზეთი-კი, რომელიც ყოველ დღე სახელდახელოდ იბეჭდება, მოკლებულია ამ ღირსებას. გაზეთის მუშაკებს არ ყოფნით ფიზიკური ძალა სათანადოდ განიფიქრონ შეუჩერებლივ მსრბოლნი მოვლენანი ყოველდღიური ცხოვრებისა, ხოლო განაფიქრს—მისცეს რაც შეიძლება უკეთესი ფორმა, რაც შეიძლება უკეთესი გამოთქმა. და აი ასეთ პირობებში შექმნილი და ძალა-უნებურად მრავალი ნაკლის მქონი ბეჭდვითი სიტყვა იმარჯვებს წიგნსა და ჟურნალზე, იგი ცისმარი დღე აუარებელ მკითხველს ელაპარაკება. წერა-კითხვის მცოდნისათვის გაზეთი ისევე აუცილებელია, როგორც ყოველი ხორციელი ადამიანისათვის ჭამა-სმა. მკითხველი მისდა შეუმჩნევლად ითვისებს გაზეთის კილოს, მის ზნეს, თანდათან ეჩვევა მის აზრებს, შეიყვარებს გაზეთს, და რაც უფრო საგულისხმოა, თვალდახუჭული ენდობა და მიჰყვება მას, საითკენაც კი მოუწოდებს. საზოგადოებაზე ზედგავლენის მოხდენით გაზეთს სხვა ვერც ერთი იარაღი ვერ შეედრება. ტყუილად კი არ ამბობენ, პრესა მსოფლიოს დედოფალიაო. მაგრამ ეს ძლიერი იარაღი ორპირ მჭრელია. სიკეთის მოტანაც ბევრი შეუძლიან და ცუდის მოტანაც. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული თუ ვინ ხმარობს ამ იარაღს, თუ ვინ არის, ვინც ყოველ დღე მრავალ ათას მკითხველს ელაპარაკება. იშვიათი ბედნიერებაა, მაგრამ ვიტყვით თანაც იშვიათი პასუხსაგები მოვალეობა და მძიმე ტვირთიც, როცა ყოველ დღე საშუალება გაქვს შენი აზრი და გრძნობა მიაწოდო და გაუზიარო მრავალ ათასს მკითხველს. რაც კეთილშობილება, მაღალი ზნეობა, რაც სიფაქიზე და პატიოსნება გაზეთის მუშაკსა და ხელმძღვანელს მოეთხოვება, იმდენი იშვიათად თუ ვინმე სხვას მოეთხოვებოდეს.

თუ რა ხდება უცხოეთში, ეს მე ნაკლებად მაწუხებს, მე ქართულ პრესაზე შემტკივა გული და მისი ნაკლი გამხდომია საგოდებელი. და ქართული პრესა რომ ავად არის, ამას მტკიცება არ უნდა. ქართული გაზეთის მუშაკი და ხელმძღვანელი აქვეითებს ცოტაოდნად გონება-გახსნილ და გემოვნება-ფაქიზ მკითხველს; იგი ქუჩაში გამოდის და რაც ქუჩურ გემოვნებას და სმენას აღიზიანებს სწორედ იმას დაუკრავს თავის „გიტარაზედ“. ამ მხრივ ვერც გონება გაუხსნელ მკითხველს უწევს დიდ სამსახურს. გაზეთის მუშაკთ არ შესწევთ ზნეობრივი სიმტკიცე დაუწუნოს და დაუგმოს თავის მკითხველს, რაც დასაგმობია და დასაწუნი. გაზეთის მუშაკები და ხელმძღვანელები სწორედ იმას არ უფრთხილდებიან, რაც ყოველი ადამიანისთვის აუცილებელ ზნეობრივ სამკაულს შეადგენს. რომ ერთხელ მოპოებული კლიენტი შეინარჩუნონ და თავისი მოპირდაპირენი „დაამარცხონ“, ჩვენი პრესის მუშაკნი არ ერიდებიან არც სიყალბეს, არც ტყუილსა და არც ცილის-წამებას.

ვის აინტერესებს მართალი ძიება ამა თუ იმ ამბავისა, მოვლენისა, ვის აინტერესებს იდეათა ჭიდილი, ახალ-ახალ საბუთისა და მოსაზრებათა წამოყენება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხის გასაშუქებლად! ყოველგან მხოლოდ იმაზედ ზრუნავენ რომ თავისი გაიტანონ. სეირია, ნამდვილი სეირი ჯამბაზობისა და თვალთმაქცობისა.

საილუსტრაციოდ მაგალითს მოვიყვან. რევოლიუციის შემდეგ, დამონებული მემამულენი მიწების გაყიდვას შეუდგნენ. ამ მიწებს დაეტანა უმთავრესად უცხო ტომის ხალხი. ქართველი გლეხები, რომელნიც რევოლიუციის დროინდელი პროპაგანდის გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ, მათთვის საჭირო მიწების ყიდვას გაურბოდენ; მუქთად დაგვირიგებენო, ამბობდნენ. გაიმართა ცხარე კამათი დასელთა და სოციალისტ-ფედერალისტთა შორის. დასელების გაზეთი სოციალისტურ სიწმინდეს არ ღალატობდა. მამულების გაყიდვას ყურადღებას არ აქცევდა; ბოლოს დასწერა, ჩვენ წინააღმდეგნი არა ვართ გლეხებმა რომ მამული იყიდონო. ამის წინააღმდეგ მაშინ სოციალისტ-ფედერალისტები სრულიად სამართლიანად აღიძვრნენ და მთელი თვეების განმავლობაში ებრძოდნენ სოციალ-დემოკრატების ამ ყოვლად შეუწყნარებელ პოზიციას. ისინი მოითხოვდენ, რომ დასელებს აქტიური პროპაგანდა გაეწიათ გლეხებ შორის მამულების ყიდვის სასარგებლოდ, თითონ კი, რა თქმა უნდა, კალმით თუ სიტყვით, ქადაგებდენ რომ მიწები ქართველ გლეხებს შეეძინათ; მათ შორს გადამალეს რეალი ინტერესის გულისათვის, მათი პროგრამის ის მუხლი, რომელიც მიწების ძალით ჩამორთმევას გულისხმობდა და რომელიც საკვირველ რაღაც სოციალიზაციას იცავდა. ჩვენ გვგონია ფედერალისტების მაშინდელი პოზიცია სწორი იყო და ვფიქრობთ, რომ ისინი დღესაც ჩვენი აზრისანი იქნებიან. მართლაც, თუ რაიმე საქმე გაინტერესებთ და საზოგადოებისთვის სასარგებლოდ მიგაჩნიათ, შეუძლებელია ამის თქმით დაკმაყოფილდეთ: ჩვენ არა ვართ წინააღმდეგი, რომ ეს საქმე გაკეთდესო. საქმის სვებედით გულწრფელად დაინტერესებული მწერალი ამას აუჯანყდება, როგორც ამ რვა-ცხრა წლის წინეთ ფედერალისტები დასელებს აუჯანყდნენ.

წელს გაჩნდა ჰიათურის საქმე, მრავალი მილიონის საქმე. ამას „საქართველომ“ მიაქცია ყურადღება. დროხანის გასვლის შემდეგ „სახალხო ფურცელმაც“ ხმა ამოიღო, მაგრამ სწორედ ისე, როგორც დასელების გაზეთმა აღნიშნულ საკითხის შესახებ, „ჩვენ არაფერი საწინააღმდეგო არა გვაქვს იმისა, რომ შავი ქვის მრეწველობის ის ნაწილი, რომელიც დღეს უცხოელებს უჭირავთ, ქართველებს დარჩესო“. როგორც მაშინ ფედერალისტების ორგანო, რომელიც გულწრფელად დაინტერესებული იყო რომ ქართული მიწა-წყალი ქართველ გლეხებს დარჩენოდა, სრულიად სამართლიანად შეებრძოლა დასელებს და უმტკიცებდა, ვინც საქმით დაინტერესებულია ის ამ ენით ვერ ილამარაკებს, არამედ აქტიურ მუშაობისაკენ მოუწოდებს საზოგადოებას, ისე ეხლა გაზეთი „საქართველო“, რომელსაც გულწრფელად სწადია რომ ჰიათურის მამული ქართველებს ჩაუვარდეს ხელში, სრულიად სამართლიანად ამხედრდა „სახალხო ფურცლის“ ასეთი სიტყვებისა და პოზიციის წინააღმდეგ. ვინ ვინაა, მაგრამ „სახ. ფურ.“ კი უნდა გაჩუმებულიყო ასეთი დამსახურებული საყვედურის წინაშე.

რამდენადაც სამართლიანი იყო მისი წინაპრის სიტყვები და კამპანია დასელთა წინააღმდეგ ზემო აღნიშნული საქმის გამო, იმდენად სამართლიანია „საქართველოს“ სიტყვები და შენიშვნები „სახალხო ფურც“. საყურადღებოდ ჰიათურის საკითხის შესახებ. აბა სათქმელი რა უნდა ჰქონოდა ამ შენიშვნაზე გულმართალ გაზეთს? ხომ მართალია „ბ-ნო“ რედაქციავ, ვისაც სასარგებლო საქმის გაკეთება სურს, ის იმ სიტყვებს ვერ დასწერს, რომელიც თქვენ დასწერეთ უკვე ცნობილს მეთაურში. რომ ჰიათურის საქმე გაინტერესებთ, ამაში საზოგადოების დარწმუნება მიზნად ჰქონდა შემდგომად თქვენს გაზეთში დაბეჭდილ წერილებს. მაშ, რა ადგილი უნდა ჰქონოდა აღნიშნულ სიტყვებს.

[illegible] დათ ერთი საზოგადოებრივის თვალსაზრისით, მეტი სახიფათო სიბრიყვე. არ გეყოთ მწერლის ეთიკური სიმტკიცე თქვენი დანაშაული აღიარებინათ და თქვენვე გეზიდნათ. ამის ნაცვლად, რომ თქვენი მკითხველის თვალში წყლიდან მშრალი გამოსულიყავით, „საქართველოს“ დასწამეთ: „საქართველო“ ამტკიცებდა... თითქოს მომხრე არ ვიყოთ მამულები ქართველთა ხელში გადვიდესო“. „საქართველომ“ მოგთხოვათ გეუწყებინათ თქვენი მკითხველისთვის რომ ეს მართალი არ იყო. თქვენ ეს არ ჩაიდინეთ. სამწუხაროა. ნუ თუ გაზეთის ხელმძღვანელს და მუშაკს მრუდე გზით და სიყალბით სიარული უნდა ერჩიოს სწორის გზით სიარულსა. მაშ, საქმე მოტყუებაზე [illegible], სამართლის დამალვაზე, [illegible] გასვლაზე?! ნუ წესად გავიხადოთ ლიტერატურული ჯამბაზობა და უკუვაგდოთ გულმართალი ძიება და სიტყვა. ვის უნდა შერცხვეს ტყუილის, ვინ უნდა ებრძოლოს სიყალბეს, თუ რედაქცია პირველი ხმარობს ყველა ამას?! და თუ გაზეთს შეაქვს ასეთი გამხრწნელი თვისება, ვინ უნდა აღადგინოს საზოგადოების ზნე და გამოასწოროს მისი ხასიათი?! აკი მოგახსენეთ გავლენის მხრით გაზეთს ვერაფერი შეედრება მეთქი, რამოდენიმეთ თვით მკითხველი საზოგადოების ბრალია, რომ გაზეთის მუშაკნი ამსეაჭვო ზნეს არ იშლიან. ღირსებით მოსილმა მკითხველმა თავი აბუჩად არ უნდა ააგდებინოს გაზეთის მუშაკთ, საზოგადოებრივ კეთილ ზნეობას, პირიანობას და რიგიანობას ყოველი ღირსეული პიროვნება უნდა დარაჯად დაუდგეს. თუ გვიყვარს ჩვენი პრესა მივეშველოთ მას ვეცადნეთ სათანადო სიმაღლეზე ვამყოფოთ ყოველს დროსა და პირობებში.

ძველი ქართველი.

# უმაღლესი ბრძანება უმართებულესს სენატს

საჭიროდ ვცანით რა სათადარიგო ჯარის და ზურგის დაწესებულებათა შევსება და სასანიტარო დაწესებულებათა გაძლიერება მენონიტებით, ვბრძანებთ: ყველა გუბერნიებიდან, ოლქებიდან და საგრადონაჩალსტვოდან გაიწვიეთ: 1) მეორე ხარისხის მოლაშქრენი (რატნიკები) 1916—1901 წლებ შუა გაწვეულნი. 2) მეორე ხარისხის მოლაშქრე მენონიტები 1916—1901 წლებ შუა გაწვეულნი, 3) პირველ ხარისხის მოლაშქრენი 1916—1893 წ. გაწვეულნი; 4) პირველ ხარისხის მოლაშქრე მენონიტები 1916—1893 წლებ შუა გაწვეულნი.

ზემო ხსენებული მოლაშქრენი უნდა გაწვეულ იყვნენ წელს, მკათათვის 15-ს. უმართებულესი სენატი არ დააყოვნებს შესაფერ განკარგულების მოხდენას.

დედანზე მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის ხელით აწერია: **ნიკოლოზ.**

მეფის ბანაკი, 4 მკათათვე 1916 წ.

დაამოწმა სამხედრო მინისტრმა ინფანტერიის გენერალმა **შუვაევმა.**

# წმ. თამარ მეფე [1]

შენს წმინდა სახეს,
შვენებით სავსეს,
სახიერებით განსხივებულსა,
ვუმზერ კრძალვითა,
თაყვან-ცემითა,
ცრემლ-მორეული გემთხვევი ფერხთა!
ვითა განვლილსა
სიზმარსა ტკბილსა,
მზეს დიდებულად ჩასვენებულსა,
ვიგონებთ შენს დროს,
გული გვიმაგროს,
სრულად ერ წავჰსწყმდეთ ცის შემრისხავნი!
შენი ივერი
აღსდგეს ძლიერი
და დადგეს ერად სხვა ერთა შორის,
წმიდის საყდარით,
ენით მდიდარით,
სწავლისა შუქით განათებული!
ზნე-ამაღლებით,
ძლევის დიდებით
სამშობლოს მიწის სიყვარულითა!
და გაგვიცოცხლდეს,
რომ კვლავ მოგვესმეს
სიტყვა ქართული რუსთაველისა!
რომ განვიღვიძნეთ,
სულით განვახლდეთ
და გაჰქრეს ბნელი უმეცრებისა!

გრ. ორბელიანი.

თამარ მეფე საქართველოს წარსულ დიდების დაუჭკნობელი გვირგვინია, ქართველ ერის სულიერ ნიჭთა, თვისებათა და შემოქმედების ძლევა-მოსილობის უტყუარი შემაერთებელი სინტეზია. მის უკვდავ სახელთან შეერთებულია ქართველთა ისტორიის ოქროს ხანა, რომელიც მეთორმეტე საუკუნეში განიცადა ჩვენმა სამშობლომ. რაც დრო და ხანი გადის, მით უმეტეს სიცხოველეს იჩენს თამარ მეფის სახელი, მით უბრწყინვალეს შარავანდედით იმოსება მისი ხსოვნა... „ვითა განვლილსა სიზმარსა ტკბილსა, მზეს დიდებულად ჩასვენებულსა ვიგონებთ მის დროს“... და ეს მოგონება დღითი-დღე, წლითი წლად ღრმავდება და ფართოვდება და არაა არც ერთი კუთხე საქართველოსი, სადაც თამარ მეფის ხსოვნას კეთილმოწიწების გრძნობით არ ეპყრობოდნენ... დიმ. ბაქრაძის სიტყვით, თვით ჩვენ თანამოძმე ქართველ მუსულმანებს საქართველოს წარსულიდან არც ერთი ქართველი ჩოლვაწე არ ახსოვთ, გარდა თამარ მეფისა. მას ისინი მიაწერენ მათს ქვეყანაში არსებულ ყველა ძველ ხიდის, ეკლესიის და ციხის აღშენებას [2]). მისმა მეფობამ საქართველოში შექმნა მთელი ეპოქა, რომლის გარდმონაცემით და ნაშრომით დღესაც კი ცხოველია ქართველი ერი. მაშინდელი სხივი დღესაც გზას გვინათებს. როგორც თამარ მეფე, ისე მისი მგოსანი რუსთაველი დღესაც ჩვენი დიდებული მოძღვრები არიან. აკი ამიტომ, პოეტის სიტყვით,

„შავთა დროთ ვერ შესცვალეს
მის (ქართველის) გული ანდამატისა:
იგივ მხნე, იგივ მღერალი,
მოყვარე თავის მიწისა!“

ჩვენ ძლიერ ნაკლებად ვეტანებით ჩვენი ისტორიის შესწავლას. ნაკლებად ვიცნობთ იმ თავდადებულ გმირებს, რომელთ მკლავის, ოფლის, შრომის, სისხლის და სიკვდილის მეოხებით სხვა ერთა შორის ვიხსენიებით. ჩვენდა სამწუხაროდ, თვით დიდებულ თამარს მხოლოდ სახელით თუ ვიცნობთ, მაგრამ დაწვრილებით კი არ გვაქვს გათვალისწინებული უმთავრესი მომენტები მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობისა. მაგრამ თითქოს თანდათან თენდება. ჩვენს ერში დღითი დღე ფეხს იკიდებს წყურვილი სამშობლოს წარსულის შესწავლისა... იმედია მალე, სულ რამდენიმე წლის შემდეგ, მოვიშორებთ თავიდამ იმ ნამდვილით აღსავსე მაგრამ დამსახურებულს საყვედურს, რომლითაც მოგვმართავს პოეტი ვახტანგ ორბელიანი ჩვენი წარსულის მიმართ იმ ავადმყოფურ გულგრილობის გამო, რომელიც ჩვენს ერს თითქოს თანდაყოლილი ჰქონდა.

„ჩვენს უღონო სულს,
ჩვენს გაყინულსა, გაქვავებულს
და უგრძნობელს გულს
მწარე მოთხრობა წარსულ დროთა
არ აცხოველებს,
გმირთ მამა პაპათ ბნელი ეტლი
არ მოგვრის ცრემლებს!
ჩვენ არც კი ვიცით, იმ უბედურთ
რითი დაგვდეს ვალი;
ჩვენსა გარეშე ვერას ვხედავთ:
ბნელი გვაქვს თვალი...
ოღონდ მამათგან დაშთომილი
მამული ვჭამოთ
დ ჩვენთ მოყვასთა, ჩვენთ ნათესავთ,
ძმებს ცილი ვსწამოთ!“

თამარ მეფემ თვის სახელოვან წინაპართაგან: დავით აღმაშენებლისა და მის შვილი შვილის გიორგი მესამისაგან, რომელიც თამარის მამა იყო, მიიღო სამკვიდრებლად საკმაოდ ვრცელი სამეფო, რომელსაც შეადგენდა მთელი აწინდელი ამიერ კავკასია, ნაწილი ჩრდილო კავკასიისა და მცირე აზიისა... ამასთანავე მანვე მიიღო განმტკიცებულ თვითმპყრობელობის კვერთხი... თამარის ღვაწლი სამართლიანად ითვლება დავით აღმაშენებლის და გიორგი მესამის ღვაწლადაც. უამათოდ თამარ მეფის არსებობა და ნაყოფიერი ღვაწლი შეუძლებელი იყო... ერთს საყურადღებო მოვლენად ქართველი ერის მეთორმეტე საუკუნის ცხოვრებაში ითვლება ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ შესანიშნავ მოღვაწის გიორგი მთაწმინდელის დროიდგან, რომელიც 1065 წელს გარდაიცვალა დარღვეული იყო სახელმწიფო ცხოვრებაში წოდებრივი უპირატესობა და პირველი ადგილი ეჭირა პირად ღირსებას ე. ი. საქართველოში დამყარებულიყო დემოკრატიული მიმართულება. ამ მიმართულების დასამყარებლად დიდი ბრძოლა მოუხდა დავით აღმაშენებელს, მაგრამ მაინც შეინარჩუნა იგი სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში... მის დროს საეკლესიო კრებამაც დააკანონა დემოკრატიული მიმართულება. ამ კრებამ დაითხოვა მღვდელმთავრობის თანამდებობიდამ ის პირნი, რომელნიც მამულობით, შეძლებით უფრო, ვიდრე ღირსებით გამხდარიყვნენ მღვდელმთავრებად. ესენი იყვნენ მთავართა და წარჩინებულთა შვილნი, რომელთაც უწესოდ ეჭირათ საყდრები... მათი დათხოვნა ძლიერ ძნელი საქმე იყო.. ამის მეოხებით პირადი ღირსების პატივი საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში დამყარდა.[3]) აი როგორი პოხიერს და შემუშავებულ ნიადაგზე და როგორც ისტორიულად განმტკიცებულ პირობათა შორის მოუხდა აღზრდა და გამეფება თამარს, რომელიც იყო ერთად ერთი ასული და მემკვიდრე გიორგი მესამისა და მისი მეუღლის დედოფლის, ოსთა მეფის ასულის—ბურდუხანისა... ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში, დაახლოვებით 1178—1179 წელს, გიორგი მეფემ, დაღლილმა მრავალობით, შინაურ შფოთით და ამბოხებით, გორის ახლოს ნაჭარმაგევს (კარილეთი) დიდებულთა თანადასწრებით მეფედ დასვა თამარი და დაადგა გვირგვინი ოქროსი თავსა მისსა.

„დასვა და თავსა გვირგვინი
დაადგა თავის ხელითა...
მისცა სკიპტრა და შემოსა
მეფეთ სამოსელითა“... (შოთა)

გიორგი მეფის გარდაცვალების შემდეგ თამარი შეიქმნა საქართველოს ერთად ერთი უზენაესი გამგე და ნამძღოლი. იმ დროს საქართველო ძლიერ სახელმწიფოდ ითვლებოდა. მას შეადგენდნენ სხვა და სხვა მოდგმის და სარწმუნოების ერნი. მათ იჩინა თავი თავად-აზნაურთა უკმაყოფილებამ... დიდი გვარის მოხელეები შეეცადნენ ემოქმედათ ახალგაზრდა თამარზე თავის თავის სასარგებლოდ და უძლესი თანამდებობანი ხელში ჩაეგდოთ თამარს შეუთვალეს დიდი გვარის შვილებმა: აღარ დავემორჩილებით ძველთა ხელისუფალთა ანუ სახელმწიფო მოხელეთა და გამგებელთა საქმისათა, ვინაიდგან მათგან დაძვრცილნი და უპატიოდ გასულნი ვართ და გვარიანნი და მსახურეულნი სალნი უპატიოდ და უსახლოდ გასრულვართ უგვაროთი და უხმართაგან. ცხადია, რომ დიდი გვარის შვილებს სურდათ დაებრუნებიათ ის წესი სახელმწიფო გამგეობისა, რომელიც ძველად იყო გამეფებული საქართველოში ე. ი. ის წესი, რომლის ძალით მნიშვნელობა ჰქონდა წოდებრივობას და არა პირად ღირსებულებებს... მათთ სურვილი იყო მოესპოთ ის, რაც უკვე დაამყარეს თავის წინაპრებმა, მათ მოითხოვეს გადაეყენებია თამარს მანდატურთ უხუცესი ყუბასარი და მსახურთ-უხუცესი აფრიდონი, რომელთაც დიდი სამსახური მიაგეს თამარის მამას და განამტკიცეს მისი სამეფო უფლება. მიზეზი დიდებულთა წყრომისა ამ პირთა მიმართ იყო, როგორც ამბობს მატიანე, ის, რომ პირველი, ყუბასარი, ნაყიფჩაყარი იყო ე. ი. გაქართველებული ყიფჩაკი ანუ პოლოვეცი, ხოლო მეორე აფრიდონი არ იყო აზნაურთა გვარისაა თამარი იძულებული შეიქმნა დიდებულთა თხოვნა დაეკმაყოფილებინა, თუმცა გრძნობდა სრულს მის უსაფუძვლობას.

ილ. ფერაძე.

(დასასრული იქნება)

[1]) ამ წერილის დაწერის დროს ვსარგებლობდით უმთავრესად პროფ. ივ. ჯავახიშვილის ფრიად საყურადღებო შრომით: „ქართველი ერის ისტორია“. ამას გარდა ვისარგებლეთ თ. ჟორდანიას, ბროსეს, თაყაიშვილის, კარიჭაშვილის და ს. გორგაძის ნაწერებით.

[2]) იხ. მემედ აბაშიძის წერილიც „სახალხო ფურც.“-ს 1916 წ. № მე-56.

[3]) იხ. ნიკ. ურბნელის „დავით აღმაშენებელი“ და ჩვენი საკ[illegible] თხზულება 1893 წ. რუსულად

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

ათი დღის წინად გენერალ ლეშას არმიამ, რამოდენიმე იერიშის შემდეგ, სძლია მტერი, წაართვა მათ გამაგრებული ადგილები მდ. სტოხოდის და სტირის შუა, მიადგა მდ. სტოხოდის მარჯვენა ნაპირს და დაიწყო გამარჯვებულ ჯარის გადაყვანა მდინარის მარცხენა ნაპირზედ. გერმანელებმა ყველაფერი იხმარეს, რომ შეეჩერებინათ რუსების წინსვლა, მაგრამ ამაოდ. გენერალმა ლეშამ მოახერხა მარცხენა ნაპირზედ გადასვლა და გამაგრება.

რუსეთის ჯარის ასეთმა გამარჯვებამ დიდ საგონებელში ჩააგდო მოპირდაპირე. აშკარად გრძნობდა იგი, რომ რუსეთის წინსვლა მეტად საშიში იქნებოდა იმ ჯარისათვის, რომელიც გამაგრებული იყო სოკულის სამხრეთ-დასავლეთის მიდამოებში. სწორედ ამ გაჭირების თავიდან ასაცდენად გერმანელებმა შეტევა დაიწყეს მოსსორსვიდნიკის მიდამოებში. მათი სურვილი იყო გაეჩერებინათ მდ. სტოხოდზედ მომქმედი რუსეთის ჯარი, გაერღვიათ ბრძოლის ხაზი და ზურგიდან მოქცევოდნენ გენ. ლეშას. გენ. კალედინმა არ აცალა ასეთი განზრახვის განხორციელება, იერიშით წავიდა კისელინ-ზუბილნოს ხაზით და მტერი უკუაქცია. უფრო ცოტა სამხრეთით კალედინის არმიას მხარი მისცა გენ სახაროვმა, გაწმინდა მდ. ლიპის ნაპირები 15 ვერსის მანძილზედ და ვოლინის მიმართულებით მეტად ხელსაყრელი პოზიციები დაიჭირა.

საზოგადოთ გენერალი ლეშა და გენ. სახაროვი სამხრეთით და ჩრდილოეთით ორივე მხარეს ფრთებს უმაგრებდენ გენ. კალედინას არმიას, რომელიც სოლივით შეჭრილია კოველის მიმართულებით და კარგა ხანია წინსვლას განაგრძობდა. დღეს ბრძოლის მოხაზულება არსებითად არ შეცვლილა არც რუსეთის ჯარის მდგომარეობაა იმდენად უზრუნველყოფილი, რომ შეიძლებოდეს შეჩერება რამოდენიმე ხნით. ამიტომ ორივე მხარე ყოველთვის შეეცდება ხელთ იგდოს შესაფერი დრო და თავისი მდგომარეობა გამოაკეთოს, ბრძოლის ხაზი გაასწოროს.

გუშინისწინდელი ოფიციალი დეპეშა მეტად საგულისხმოა სწორედ ამ მხრივ. ეტყობა გერმანელებს მოუსწრიათ საკმაო ჯარის გადმოყვანა სხვა და სხვა ბრძოლის ველიდან, მოუხდენიათ ჯარების დანაწილება და იერიშებითაც წამოსულან. მათ მიზანში ამოუღიათ ჩრდილოეთით სულ მოკლე ხაზი მდ. სტოხოდზედ სოფ. უგრი და არსენოვიჩის შუა. აგრეთვე სამხრეთით დაუწყიათ შეტევა სოფ. ზვინიაჩე და ელიზაროვის შუა. ორივე ეს ადგილები მეტად დაშორებულია გენ. კალედინის არმიასთან, რომელიც ახლა გამაგრებულია კისილენას და სვინიუხის მიდამოებში. ცხადია მათი განზრახვა სოფელ არსენოვიჩთან და ზვინაჩედან შეტევით მათ სურთ ზურგიდგან მოექცნენ კოლედენის არმიას. კერძოდ არსენევიჩის ბრძოლას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს გენ. ლეშის არმიისთვის, რომელიც მდ. სტოხოდას მარცხენა ნაპირზედ არის ახლა გამაგრებული. თუ აქ მათ მოახერხეს ბრძოლის ხაზის გარღვევა, ცხადია რუსეთის ჯარს უკან დახევა მოუხდება და ახალ პოზიციაზედ გამაგრდება მაგრამ ახლა უკვე გამაგრებული და გამარჯვებულის ჯარის უკან დახევა მეტად ძნელია, მით უმეტეს, რომ ასეთი ცდა და მანევრები გერმანელების ხსრივ ახალი არ არის.

საზოგადოდ აქ ცენტრში მომქმედი გერმანეთის ჯარი უფრო კარგ პირობებში იმყოფება, ვიდრე რუსეთისა. იმ დროს, როდესაც გერმანელებს ზურგს უმაგრებს ისეთი პუნქტები, რკინის გზები, როგორიც კოველი, ვოლინო, სოკული სამაგიეროდ, რუსეთის ჯარი მეტად დაშორებულია ასეთ ბაზიდან. გარდა ამისა რუსეთის ჯარს საშინელ პირობებში უხდება მოქმედება, აუარებელი ჭაობები, საშინელი უგზოობა, ყველა ეს მეტად აფერხებს მოქმედებას, მაგრამ მიუხედავათ ამისა, რუსეთის მხედრობამ სძლია მტერი და საშინელი ბრძოლა თავისი გამარჯვებით დააგვირგვინა. რა შედეგი მოჰყვება ახალ დაწყებულ შეტევას, გახდებიან გერმანელები რასმე თუ არა, ამას მალე შევიტყობთ.

დასავლეთის ბრძოლის ასპარეზზე გერმანელებმა კვლავ განაახლეს ვერდენთან მოქმედება. მათი არტილერია საშინელ ცეცხლს უჩენს ვერდენის უკანასკნელ სიმაგრეებს.

X.

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი,** 8 მკათათვე. ოფიციალი. დასავლეთის ასპარეზი. დვინის მიდამოებში ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა. იქ, სადაც ერთმანეთს ერთვის მდ. სტორი და ლიპა, ჩვენმა ჯარმა მტერს დიდი ზიანი მიაყენა. აქ ჩვენ სოფ. ვერბენის და მის სიმაგრეებიდან მტერი გავრეკეთ. ლტოლვილ მტერს ჩვენი ჯარი ფეხდაფეხ მისდევს უკან და სტირის ნაპირებზე მაგრდება. მოპირდაპირე იძულებულობით ბერესტეჩკოს მიდამოებთან შეჩერდა და ნაწილ-ნაწილ ტყვეთა გვნებდება. ბერესტეჩკოსთან ბრძოლა არ შეწყვეტილა. აქ ჯერ-ჯერობით 50 აფიცერი და 1600 ჯარის კაცი წამოვიყვანეთ ტყვედ. ამ ბრძოლებში გმირულად იქმნა მოკლული პოლკის უფროსი პოლკოვნიკი ტატაროვი. თიბათვის დასაწყისში ზოზინის მიდამოებში პოლკოვნიკმა ტატაროვმა თავის გულადი ჯარით დიდი ზარალი მიაყენა მტერს და თავი ისახელა.

**კავკასიის ასპარეზი.** ჯივიზლიკას მიდამოებში ჩვენმა ჯარმა კვლავ წინ წაიწია და 1 აფიცერი და 63 ასკერი ტყვედ წამოიყვანა. ტრაპიზონიდან ერზინჯანის გზით ჩვენ ბრძოლით ავიღეთ ქალაქი გუმიშხანე. ქალაქ კიალკიტ-ჩევტლივის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა კიდევ 30 აფიცერი, ერთი ექიმი და 400 ასკერი წამოიყვანა ტყვედ. ამას გარდა მრავალი სურსათი ვიგდეთ ხელთ. რევანზუდს მიდამოებში მტრის წინსვლა შევაჩერეთ.

**პეტროგრადი,** 8 მკათათვე. ოფიციალი. დასავლეთის ასპარეზი. გენერალ სახაროვის ჯარმა ფეხდაფეხ გაიარა ჭაობიანი ადგილი ლიპის მიდამოებში და მტერს იერიშით ეკვეთა. აქ მტერმა ზურგი გვიქცია და გარბის. ჩვენი არტილერია მათ დიდს ზარალს აყენებს. ჩვენი რაზმები მდ. ლიპას მეორე ნაპირზე გადავიდნენ და 1000 ტყვე, 10 ტყვიის მფრქვეველი და 4 სამთო ზარბაზანი იგდეს ხელთ. ტყვეთა რიცხვი ნელ-ნელა მატულობს. დამატებითი ცნობების თანახმად გუშინდელ დღეს წამოყვანილ ტყვეთა რიცხვი, გაცილებით მეტია, ვიდრე ნაჩვენები იყო. ჯერ-ჯერობით გამოირკვა, რომ 7 მკათათვის ბრძოლებში ჩვენ ტყვედ წამოვიყვანეთ 2,817 ჯარის კაცი და 75 აფიცერი. ამას გარდა ხელთ ვიგდეთ მრავალი ტყვისმფრქვეველი და 3 ზარბაზანი.

**შენიშვნა.** 3 თიბათვის ბრძოლაში ლიპის ჩრდილოეთნაპირზე, უკვე ნაჩვენებ რიცხვის გარდა, ჩვენმა ჯარმა ხელთ იგდო: 48 ტყვიისმფრქვეველი, 36 ყუმბარის მსროლელი, 80 ყუთი ნაღმები და ყუმბარები, 60 ყუთი ასაფეთქებელი მასალა, 58 ყუთი ტყვიისმფრქვეველთა სასროლი ლენტი, 3 საარტილერიო მასალის საწყობი; რომელშიაც მარტო ერთში 35,570 სხვა და სხვა ყალიბის აღმოჩნდა, 5,230 ხელით სასროლი ყუმბარა და უამრავი ტყვიები. ამას გარდა 3 პროჟექტორი, მემუსიკეთა გუნდი ტელეფონის მავთულები და სხვა მრავალი სამხედრო მასალა.

—

**პარიზი,** 7 მკათათვე. ოფიციალი. სომმის ჩრდილოეთით გარდუკუბას გორაკიდან მოყოლებული, ვიდრე კომბლფლერის რკინის გზამდის, ჩვენი ჯარი მტრის სიმაგრეებს იღებს. ბრძოლის ამ ხაზზე ფრანგებმა 400 ჯარისკაცი წამოიყვანეს ტყვედ. სომმის სამხრეთით ბარლესა და სუპკუროს შუა, პირველი ხაზის ყველა თხრილები ამ ჟამად ფრანგების ხელშია.

მაასის მარცხენა ნაპირზე, ავანკურის და შატანკურის მიდამოებში მე-„304“ სიმაგრეს ფრანგები ხელის ყუმბარებს უშენენ. ფლერის მიდამოებში მტრის ძლიერი სიმაგრე ფრანგებმა იერიშით აიღეს. იერიშის დროს ფრანგებს ხელში ჩაუვარდათ 150 ტყვე.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**გენ. ბრუსილოვის ბრძოლის ასპარეზზე.**

თითქმის მთელ სამხრეთ-დასავლეთის ასპარეზზე შედარებით სიწყნარე ჩამოვარდა. მოწინააღმდეგეთა მთელი ყურადღება ეხლა მხოლოდ მდ. სტოხოდის მიდამოებში ატეხილ ბრძოლას აქვს მიპყრობილი. სტრიპის დასავლეთით და დელატინის მიდამოებში რუსი ჯარი წარსულ ბრძოლების დროს დაპყრობილ ადგილებს ამაგრებს. დანარჩენ ადგილებში რუსის ჯარმა მოქმედება შესწყვიტა და ლვოვისა და ვლადიმირ-ვოლინის მიმართულებით მხოლოდ მტრის გააფთრებულ იერიშებს იგერიებს. როგორც ეტყობა აქ რუსები სტოხოდის ბრძოლის დამთავრებას უცდიან.

**ავსტრიელების მფრინავი კრემენეცში.**

23 თიბათვეს, დილის $7^1/_2$ საათზე ავსტრიელების მფრინავმა ქ. კრემენცეს ყუმბარები დაუშინა. ყუმბარები სახლებს დაეცა და 10 კაცი დაასახიჩრა.

**სამხრეთ-დასავლეთის ასპარეზზე.**

უშველებელი ადგილი, მოყოლებული მდ. სტრიპიდან ხოდოროვ-სტანისლავოვამდე გერმანელებს ერთ მთლიან ციხე-სიმაგრეებად უქცევიათ. რამდენიმე წყება ქვითკირით და ბეტონით გამაგრებულ თხრილებისა ერთმანეთზე ზედი-ზედ არის მიყოლებული. ამ თხრილების შუა დარჩენილია კარგა მანძილი, რომელიც მართულებით არის დახლართული. მცოდნე პირების აზრით ამ თხრილების აღებას დიდძალი მსხვერპლი და დრო დასჭირდება.

**ოსმალების გემის დატყვევება.**

რუსის სამხედრო გემებმა შავ ზღვაში კონსტანცის მახლობლად დაატყვევეს და ოდესაში მიიყვანეს ოსმალების სავაჭრო გემი „კიშკიხაკი“ რომელიც პურით და ნავთით იყო დატვირთული. გემი რუმინეთიდან სტამბოლში მიდიოდა.

**ბრძოლა მამახათუნის დასავლეთით.**

მამახათუნის აღების შემდეგ ოსმალთა ჯარმა დასავლეთისაკენ დაიხია და იქ მთების მწვერვალებზე გამაგრდა. აქ ოსმალები რუსებს დიდს წინააღმდეგობას უწევენ და სცდილობენ მამახათუნის დასავლეთით ჯარს გზა მოუჭრან. მაგრამ რუსის ჯარის ძლიერმა იერიშმა აიძულა ოსმალები ბაიბურთიც დაეტოვებინათ. ამგვარად კავკასიის ასპარეზით შეიცვალა ბრძოლის ხაზი, რომელიც ეხლა ტრაპიზონიდან მუშამდე არის გაჭიმული.

**ვერდენის მიდამოებში.**

ამ ჟამად ვერდენის ბრძოლის ხაზი სუვილის სიმაგრეს 800 მეტრით მიუახლოვდა. დანარჩენ ადგილებში გერმანელებმა რამდენიმე ასი მეტრით წინ წაიწიეს. სუვილსა და ვერდენს შუა დარჩენილია კიდევ რამდენიმე ძლიერი სიმაგრე, რომლის ასაღებად გერმანელებს ჯერ კიდევ ბევრი დრო და ძალა დასჭირდებათ. მცოდნე პირნი ამბობენ, რომ თუ გერმანელებმა სუვილი აიღეს, ეს კიდევ ვერდენის ბედს საბოლოოდ ვერ გადასწყვეტს, რადგან სუვილსა და ვერდენს შუა ფრანგები მათ უფრო ძლიერ წინააღმდეგობას გაუწევენ, ვიდრე აქამდის.

**დაღუპულ მფრინავების საერთო რიცხვი.**

თიბათვის განმავლობაში გერმანელებს ჰაერში ბრძოლის დროს სულ 37 მფრინავი დაჰღუპვიათ. ამავე დროს გერმანელებს დაუღუპავთ 28 ფრანგებისა და 12 ინგლისელების მფრინავი ე. ი. საერთო რიცხვით 40 მფრინავი. ამგვარად გერმანელების ცნობით მათ სამი მფრინავით მეტი დაუღუპიათ, რაიც, ინგლისურ გაზეთების სიტყვით, ოფიციალ ცნობებს ეწინააღმდეგება.

**ინგლისელი მუშები.**

ინგლისელების ჯარის სიმამაცემ და ამ ბოლო დროის გამარჯვებამ ინგლისელ მუშებს პატრიოტული გრძნობა გაუღვიძა. ქარხნებში მომუშავეთ სურვილი გამოსთქვეს მთავრობამ სამუშაო დრო გაადიდოს, რათა ხელი შეუწყოს საომარ მასალების დამუშავებას.

**ავსტრიელების მმართველობა მთაშავეთში.**

მთაშავეთის დაპყრობის შემდეგ ავსტრიელები ადგილობრივ მცხოვრებთ დიდი სისასტიკით ექცეოდნენ. ამან მთაშავეთში უკმაყოფილება და არეულობა გამოიწვია. ეხლა მთაშავეთში დაბანაკებულ ჯარის შტაბმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ეს სისასტიკე შედეგი იყო მთაშაველთა დაუდგრომლობისა: ადგილობრივი მცხოვრებნი, მთაშავეთის ყოფილ მინისტრის ვეშოვიჩის ჩაგონებით, მოსვენებას არ აძლევდნენ ჯარს; ჯარი კი იძულებული იყო თავისი თავი იარაღით დაეცვაო.

**საბერძნეთის მდგომარეობა.**

ამას წინად საბერძნეთის მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მან გადასწყვიტა თავისი ჯარის სრული დემობილიზაცია მოახდინოს. მაგრამ როგორც ეხლა გამოირკვა საბერძნეთი ჯარის დათხოვას არც კი შესდგომია. შესაძლებელია ამ გარემოებამ კიდევ ახალი, უფრო სერიოზული უთანხმოება გამოიწვიოს საბერძნეთსა და მოკავშირე სახელმწიფოთა შორის.

**ბულგარეთის და რუმინეთის დამოკიდებულება.**

ბუქარესტში ბულგარეთის ელჩი რადევი დაბრუნდა. რადევს დავალებული აქვს ყოველი ღონისძიება იხმაროს, რათა ბულგარეთსა და რუმინეთს შორის კეთილი და მეგობრული განწყობილება დამყარდეს. რუმინეთის გაზეთები ეჭვის თვალით უცქერიან რადევის სურვილს, რომელსაც რუმინეთის წინააღმდეგ დობრუჯაში პროპაგანდის გაწევას აბრალებენ. ბულგარელები ძალიან აღშფოთა რუმინეთის გაზეთების ასეთმა კილომ და დასძენენ, რომ ამგვარმა დამოკიდებულებამ შესაძლებელია რუმინეთსა და ბულგარეთს შორის უთანხმოება გამოიწვიოს, რაიცა არც ერთ სახელმწიფოსათვის ხელსაყრელი არ იქნებაო.

**მთაშაველების გაჭირვება.**

ლონდონში ამჟამად იმყოფება მთაშავეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე რადოვიჩი, რომელსაც დავალებული აქვს იშუამდგომლოს ინგლისის მთავრობის წინაშე, რათა მან ნახევარ-მილიონ მშიერ-მწყურვალ მთაშაველთა დახმარებაში მონაწილეობა მიიღოს. ინგლისს რადოვიჩისათვის დახმარება აღუთქვამს, მხოლოდ იმ პირობით, თუ იგი საჭირო ზომებს მიიღებს, რომ სურსათ-სანოვაგე ავსტრიელებმა თავის საჭიროებისათვის არ მოიხმარონ.

**საბერძნეთი და გერმანეთი.**

საბერძნეთის მეფეს უთხოვია იმპერატორ ვილჰელმისათვის რათა მან სალონიკის ასპარეზზე გერმანელი ჯარი გაჰგზავნოს, რადგან, თუ იქ მარტო ბულგარელთა ჯარი იქნება, ნეიტრალური სახელმწიფოები საქმეს წააგებენო. ვილჰელმს უკვე გაუცია ბრძანება და ამ დღეებში გერმანელების ჯარები სალონიკისკენ გაუგზავნია.

**გერმანეთი და სოციალ-დემოკრატთა უმცირესობა.**

გერმანეთის სოციალ-დემოკრატთა პარტიის უმცირესობამ ამას წინად მოწოდება გამოსცა. ამ მოწოდებაში იგი ურჩევდა გერმანეთის ხალხს მთავრობისათვის ზავის ჩამოგდება მოეთხოვნა. ამის გამო როზა ლიუქსენბურგი და რამდენიმე მეთაური სოციალ-დემოკრატთა უმცირესობისა, დაუტუსაღებიათ.

**ბულგარეთის ჯარში ავადმყოფობა ვრცელდება.**

როგორც ბულგარეთიდან იტყობინებიან იქ ჯარსა და ადგილობრივ მცხოვრებთა შორის ძალიან გავრცელებულა სახადით ავადმყოფობა. სანიტარულ ზომების მიღება გაძნელებულია რადგან მცხოვრებნი, მეტს წილად მაჰმადიანები, წინააღმდეგობას უწევენ. ზოგან, მაჰმადიან ჯარისკაცებმა სროლაც კი აუტეხეს სანიტარებს, რომელნიც დეზინფექციის მოსახდენად მისულიყვნენ ჯარში.

**გერმანელების ჯარის გადმოყვანა რუსეთის ასპარეზზე**

როგორც გაზეთები გადმოგვცემენ გერმანელებს საფრანგეთისა და ბელგეთის ასპარეზიდან რუსეთისაკენ 4 კორპუსი ჯარი გამოუგზავნიათ.

---

**რედაქციასა და ასოთ-ამწყობთა შორის მომხდარ უთანხმოების გამო შაბათს ჩვენი გაზეთი არ გამოსულა. ამავე მიზეზით სურათებიანი დამატებაც ველარ მისდევს დღევანდელ ნომერს.**

---

## ახალი ამბავი

✦ **ჯარში გაწვეულთა შორის.** პირველ და მეორე ხარისხოვანთა შორის მრავალი საზოგადო მოღვაწე და თანამდებობის პირნი მოჰყვნენ. სხვათა შორის თბილისიდან 80 ვექილია გაწვეული, მათ შორის 30 ქართველი: ი. ბარათაშვილი, შ. ქართველიშვილი, გ. სალარიძე და სხვ. ქალაქის ხმოსნები: ზ. ვ. ალექსეევ-მესხიშვილი, ა. ს. ლომთათიძე, ნ. ვ. რამიშვილი, ნ. ე. წვეროვი. ქალაქის გამგეობის წევრი: მ. ნ. ათაბეგოვი, საბჭოს მდივანი ა. ი. სტავროვსკი, მსახიობი ალ. იმედაშვილი, ზარდალიშვილი, ყალაბეგიშვილი, გვარაძე, გომელაური მურუსიძე, ხონელი, თარალაშვილი, ჩაგუნავა. „სახ. გაზეთი“-დან: არ. ჯაჯანაშვილი, თ. ღლონტი. „ახალ კლუბიდან“ მამასახლისი დ. გ. გაბაშვილი. „ხარფუხის კლუბიდან“ ალ. ლორთქიფანიძე, თ-დ აზნ. ბანკიდან თ-დი თ. ვაჩნაძე. ს. ნათიშვილი, თ-დი ა. საგინაშვილი, მიხ. კავსაძე, ა. კობიაშვილი.

✦ **მეფუტკრეობის კურსებზე,** რომელიც უწმ. სინოდის სამოსწავლო საბჭომ მოაწყო კავკ. სააბრეშუმო სადგურთან, გუშინ გამოცდა მოხდა კურსების მსმენელებისა. გამოცდას დაესწრო საქართველოს ექსარხოსი.

✦ **ახტალის სამკურნალო წყლებზე** მრავალი დაავადებული ჩასულა საწამლებლად. ვანები და ბინები აღარ მოიძებნება ჩასულთათვის. ასე რომ მსურველთ ახტალის სამკურნალო წყლებზე წასვლისას აფრთხილებს ამ თვის ბოლო რიცხვამდე არ გაემგზავრნენ სამკურნალოდ.

✦ **საქველმოქმ. საღამო** სამშაბათს 12 თიბათვეს კნ. ელ. ივ. ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით თელავში ფრიად საინტერესო საღამო იმართება. საღამოში მონაწილეობას იღებს მომღერალი ვანო სარაჯიშვილი, რომელიც უკვე გაემგზავრება თელავს. შემოსავალი ადგილობრივ საქვ. მოქმ. საზ. გამგეობის განყოფილების სასარგებლოდ გადაიდება.

✦ **გაემგზავრა** გორის მაზრის დიდებულ ატენის ტაძრის მდგომარეობის გამოსარკვევად ბ-ნი დ. კარიჭაშვილი. ეპ. ანტონიმ სურვილი განუცხადა ტაძრის ყარაული მათი ხარჯით იქმნეს წლიურად დაქირავებული.

✦ **შესაწევარის დარიგება.** კვირას, 10 მკათათვეს, პირველი უბნის სამზრუნველოს თავმჯდომარის ხმ. კეილის ხელმძღვანელობით შესაწევარი დაურიგდებათ ჯარის კაცთა გაჭირვებულ ოჯახების წევრთ, მთხოვნელები უნდა გამოცხადდნენ ოლღას ქუჩაზე, სახლ. 31.

✦ **კავკასიის მთავარ კომიტეტში.** გამგედ ამ კომიტეტისა, რომელსაც ნაკისრები აქვს მზრუნველობა გაუწიოს ომიანობისაგან დაზარალებულთ, იყო სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკის თბილისის განყოფილების უფროსი ა. ა. პავლოვი, ერთ დროს ხმა გავრცელდა, რომ ბ-ნს პავლოვს ფულები აკლია და კომიტეტში ბოროტმოქმედება არისო. პავლოვი მაშინ დროებით ჩამოშორდა კომიტეტის საქმეებს. კომიტეტმა საგანგებო კომისია დანიშნა საქმის გამოსარკვევად. ამ კომისიას ბევრი ნაკლი აღმოუჩენია პავლოვის მოქმედებაში; სხვათაშორის ეს ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ბ-ნ პავლოვს ზედმეტი წიგნები გაუჩენია შემოსავალ-გასავლის ჩასაწერად. კომისიის გამოძიება უკანასკნელ დროს განუხილავს კომიტეტს და დაუდგენია, რომ პავლოვი პასუხის გებაში არ მისცეს, მაგრამ კომიტეტიდან დაითხოვოს. კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგს ბ ნ ჩებიშევს (თავმჯდომარე სამოსამართლო პალატისა) განუცხადებია, რომ მეფის ნაცვალმა ბრძანა, რომ პავლოვმა ბანკში სამსახურიც უნდა დასტოვოსო.

✦ **ქართული სკოლა სამურზაყანოში.** წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ წარსულ თიბათვეში სთხოვა სოხუმის სახალხო სკოლების ინსპექტორს, რომ ნება დაერთო მისთვის სოფ. გალში (სამურზაყანო) პირველდაწყებითი სკოლის დაარსებისა, ბ-ნი ინსპექტორი ეხლა ეკითხება საზოგადოების მთავარ გამგეობას: რა გეგმაზე უნდა ასწავლოთ, ვისი ხელმძღვანელობა გექნებათ, ნებადართული თუ არის ეს სახელმძღვანელოებიო და სხ. სკოლის დაარსების თაობაზე ასეთი შეკითხვები არც ერთს ინსპექტორს და არც დირექტორს არასოდეს არ წარმოუდგენია საზოგადოებისათვის.

## ორენბურგის ერობა და მაჰმადიანები

გაზეთი „ვაკთი“ სწერს:

1915 წლის ორენბურგის გუბერნიის ექვს მაზრაში საუბნო სამკითხველოები გაიხსნა. სამკითხველოებს საზოგადოება დიდის სიხარულით შეხვდა. ზოგიერთ ადგილებში, სამკითხველოსათვის ბინა მაჰმანიანებმა უფასოდ დაუთმეს. თითო სამკითხველოს, სხვა და სხვა მაჰმადიანური წიგნები დაეთმო, შემდეგ რუსულიც. წლის ბოლომდე თითო სამკითხველოს 1000-ზე მეტი წიგნი შეუძენია. მაჰმადიანური წიგნები რომ დავანაწილოთ შემდეგის დარგის წიგნებს დავინახავთ: 116 წიგნი ზნეობის მასწავლებელი, 227-დი სალიტერატურო, 63-მი საპედაგოგიო, 39-დი სამოგზაური, 35-დი საჰიგიენო, 7 საკანონო და სახალხო საქმისა, 56 საისტორიო და საბიოგრაფიო, 10 საკრიტიკო და თათართა ლიტერატურის ისტორია, 91-დი სასოფლო საქმეებისა და 80-ცი საბავშო ლიტერატურა.

ექვსი თვის განმავლობაში ამ სამკითხველოებიდან 1955 პირს წაუღია წიგნი. მათგან 188 დედაკაცს. სულ მკითხველი 23237 ჰყოლიათ. ყველაზე მეტს სალიტერატურო წიგნებს ეტანებიან, გაუტანიათ 166014 წიგნი. სამკითხველოდან ექვსი თვის განმავლობაში 12889 პირს უსარგებლნია.

საუბნო სამკითხველოებს გარდა ცამეტ სოფელში კიდევ განყოფილებები გაიხსნა.

ცამეტი განყოფილების სამკითხველოებში, ღვინობისთვის პირველიდან იანვრის პირველამდე 1337 პირს წაუღია წიგნი. მათგან 117 დედაკაცსა. ამ ცამეტ სასოფლო სამკითხველოებიდან ამ ხნის განმავლობაში წაღებული წიგნების რაოდენობა 12804 უდრის. სასოფლო სამკითხველოების გვერდით არსებულ განყოფილების 7 სამკითხველოში 3686 კაცს მონაწილეობა მიუღია.

ორენბურგის გუბერნიაში 400000-ზე მეტი მკვიდრი მაჰმადიანი ცხოვრობს, და ამ რიცხვებზე შედარებით მკითხველები ნაკლებია. მიზეზი ეს არის რომ ყმაწვილობა ჯარშია გაწვეული და სამკითხველოებში კი მხოლოდ მოხუცებულები და მცირე წლოვანი დადიან. მკითხველთა 10 პროცენტს მანდილოსნები შეადგენენ.

ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოების გარდა, საერობო მართებლობამ, გუბერნიის სხვა და სხვა ადგილებში ღამის კურსებიც გახსნა. 5 მამაკაცებისა და 3 დედაკაცებისათვის. გამოცდის დროს სრულიად უსწავლელმა ამ კურსების მოწაფეებში გამოჩნდა რომ 5—7 თვის განმავლობაში ამ მოწაფეებს რიგიანად წერა-კითხვა შეუსწავლიათ. ყოველ საუბნო სამკითხველოსთან, კვირაში, ორ-სამჯერ ღამის კურსებში მონაწილეობა მიუღიათ: გაკვეთილებზე, ჰიგიენაზე, ისტორიაზე, სოფლის ცხოვრებაზე, მაჰმადის დაბადების დღის მნიშვნელობაზე, წაკითხული ლექციები მოუსმენიათ და ზოგიერთ სოფლებში თათრულად წარმოდგენილ პიესებს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. ღამის კურსებზე საშუალო ანგარიშით ასე 50—60 მოწაფეს უვლია.

ორენბურგის ერობა ორი-სამი წელია რაც დაწესდა. ამ მცირე დროს განმავლობაში მაჰმადიანებში შეგნების შესატანად ბევრი რამ გაკეთდა.

## ბულბული და ვარდი

(ოსკარ უაილდისა)

(დასასრული, იხ. „საქართ.“ № 151).

სტუდენტი ისევ ბალახზე იწვა. მის მშვენიერს თვალებში ცრემლები დაგუბებულიყო.

— ნუ ნაღვლობ,—შესძახა ბულბულმა,—გამხნევდი. შენ გექნება წითელი ვარდი! მას შევქმნი მთვარის შუქზე მუსიკის ხმებით და საკუთარ გულის სისხლით შევაფერადებ. ამის სასყიდლად გთხოვ, მ მეცი პირობა ერთგული სიყვარულისა. სიყვარული უღრმეს მეცნიერებაზე ღრმაა, შეურყეველ ძლიერებაზე უმტკიცესი. იგი ცეცხლის ფრთებით მოჰფრენს და აგზნებს გულს. ბაგენი მისი ტკბილია ვით თაფლი, სუნთქვა მისი სურნელს მოაფრქვევს ვით მირონი.

სტუდენტი უსმენდა. მაგრამ ფრინველის ენა მისთვის გაუგებარი იყო. იმან ხომ იმაზე მეტი არა იცოდა რა რაც წიგნებში ამოეკითხნა.

სამაგიეროდ მუხამ გაიგო და დაღონდა: ძლიერ იყო შეყვარებული ჩიტთან, რომელმაც მის ტოტებზე ბუდე გაიკეთა.

— მაშ უკანასკნელი სიმღერა მაინც მიგალობე!—წაიჩურჩულა მუხამ,—უშენოდ დავობლდები და დავმწუხრდები...

და ბულბულმაც დაიწყო გალობა. მისი ხმა ვერცხლის სურის წყაროს ჩუხჩუხა რაკრაკსავით გამოისმოდა. დასდუმდა. სტუდენტი წამოდგა, უბის წიგნი ამოიღო.

— თქმა არ უნდა, მშვენიერია გარეგნობით,—სთქვა თავისთვის,—ამ ღირსებას ვერვინ წამართმევს. მაგრამ აქვს თუ არა გრძნობა? ვგონებ რომ არა, ის არისტოკრატია. მრავალი წარჩინებული პიროვნება თაყვანს სცემს. ხორციელი სიკეკლუცეა, მაგრამ აკლია სულის სითბო. სხვისთვის თავს არ გასწირავს, მისი ფიქრი მხოლოდ ერთი მუსიკა არის, ხელოვნება კი, როგორც დამტკიცდა, ეგოიზმს ნიშნავს. მის ხმაში საამური ნოტები ისმის. სამწუხაროა სწორედ, რომ ასეთს არსებაში ვერ ჰპოულობ თანაგრძნობას, სიკეთისადმი მისწრაფებას.

სტუდენტი თვის ოთახში შევიდა, წამოწვა საწოლზე და თვის სატრფოზე ფიქრებს გაჰყვა. მალე ჩაეძინა.

როდესაც მთვარემ გამოაშუქა ცის ტატნობი, ბულბული მიფრინდა ვარდის ბუჩქთან და მკერდით ეკალს დაეკრა. ასე გალობდა ბულბული მთელ ღამეს, კამკამა ცივი მთვარე ყურმოხრილი უსმენდა მას, ბულბულის სიმღერის დროს ბასრი ეკალი თანდათან გულში ღრმად ესობოდა და ხარბად სწუწნიდა ნელთბილ სისხლსა.

ჯერ ბავშვთა, ქალ-ვაჟის ურთიერთ მეგობრობაზე ჰგალობდა, ბუჩქის კენწეროზე მომხიბვლელი ვარდი გალო-

ბის დროს იფურჩქნებოდა. მისი ფურცლები ერთი მეორეზე იშლებოდა და იცვლებოდა, როგორც სიმღერა ბულბულისა.

ვარდი ჯერ მდინარეზე მოწოლილ ნისლისავით მკრთალი იყო, სწორედ ისეთივე მკრთალი—ვერცხლისფერივით რიჟრაჟის ნარნარი ფრთები, სარკის ვერცხლის შუშაზე ჩასახული ვარდისფერი ჩრდილი, წყლის პირზე ბაცი ვარდისფერი კრიალი,—აი რა სინაზისა იყო ვარდი, ბუჩქის მაღალ შტოზე რომ იფურჩქნებოდა.

მაგრამ აი, ბუჩქმა ჩიტს ძალა დაატანა, უფრო მჭიდროდ დაჰსობოდა გულით ეკალსა:

— მაგრად ჩამეკარ, ჩემო ჩიტუნი,—ჩასჩურჩულებდა ბუჩქი,—თუ არა და ვიდრე ვარდი გაიშლებოდეს, დღე წამოგვასწრებს.

და ბულბულმაც უფრო მაგრად დააკონა მკერდი ეკალსა, სიმღერაც უფრო მეტი სინაზით წკრიალებდა. ახლა იგი ჭაბუკისა და ქალწულის სიყვარულს უგალობებდა გრძნეულ ჰანგებს. ვარდის ფურცლებსაც, ვით სასიძოს ახალგაზრდა სასძლოს კოცნის დროს, ნაზმა ელფერმა უწყო კრთომა.

მაგრამ ეკალს ჯერ ბულბულის გულში არ გაევლო და ვარდიც არ გაცოცხლებულა. ვარდის გულში სიცოცხლის აღდგენა მხოლოდ ბულბულის გულის სისხლს შეეძლო.

და ბუჩქმაც ხელახლად მოსთხოვა ბულბულს, უფრო მხურვალედ ჩაჰკონებოდა ეკალს გულით.

— ახლოს მოდი, ჩემო ბულბულო, ახლოს,—იძახდა ბუჩქი,—თორემ ვარდი გათენებამდის გაფურჩვნას ვერ მოასწრებს.

ბულბულმაც ძალა მოიკრიბა. ეკალი გულში ეძგერა. საშინელი ტკივილი იგრძნო.

რაც ძლიერდება ტანჯვა, იმდენად უფრო გზნებით გაისმოდა ბულბულის ჰანგი. სიმღერა მისი შიკრიკობდა სიკვდილით განწმენდილს სიყვარულს, სიყვარულს დაუსრულებელს თვით სიკვდილის შემდეგაც კი.

უეცრივ ვარდი გადიშალა, ძოწეული მოესხა მის ფურცლებს. ლალსავით აალმურდა იმისი გული. მაგრამ ბულბულს უეცრივ ხმა შეუსუსტდა, ფრთებმა თრთოლვა დაუწყეს, თვალზე ბინდი ეფარებოდა. სიმღერა შენელდა. გვერდში რაღაც ურაკრაკებდა.

აგერ, გაისმა უკანასკნელი ხმა. მკრთალმა მთვარემ ყური მოჰკრა, განთიადი მიავიწყდა და გაინაბა. წითელი ვარდი ექსტაზით ათრთოლდა და დილის ცივს ნიავს ფურცლები გაუშალა საალერსოდ. გამოძახილმა გაიტაცა ნაწყვეტი ჰანგი, გარდაიტანა მთის ხავსიან კალთებისაკენ და მძინარე მწყემსი გამოაღვიძა. მალე ხმა იგი კიდისპირს ლერწმით აკვნესდა, ხოლო ლერწამმა ზღვას გადასცა სანავარდოდა.

— შეხედე, ვარდი გაიშალა!—წამოიძახა ბუჩქმა. მაგრამ ბულბულმა ხმა ვერ გასცა. ეკლით გულგაგმირული მაღალ ბალახებში დაცემულიყო.

შუადღისას სტუდენტმა სარკმელი გამოაღო და ბაღჩაში გადმოიხედა.

— რა ბედნიერებაა! წითელი ვარდი! ჩემს დღეში ამისი მზგავსი არ მინახავს. საუცხოვოა, მშვენიერი!

მისწვდა. მოსწყვიტა. აიღო ქუდი და ვარდით პროფესორის სახლისკენ გაეშურა.

პროფესორის ქალი კარებთან იჯდა და ცისფერ აბრეშუმის ძაფს ახვევდა. მის ფერხთან პატარა ფინია ეძინა.

— თქვენ დაჰპირდით ჩემთან იცეკვოთ, თუ წითელ ვარდს მიშოვნით. აი ესეც. მთელს ქვეყანაზე ამაზე წითელს ვერა ნახავთ. თქვენ საღამოთი გულზე დაიბნევთ და ცეკვის დროს იგი გიამბობდათ ჩემს სიყვარულს.

მაგრამ ქალმა წარბები შეიკრა.

— ვშიშობ, ვაი თუ ეგ ვარდი არ მოუხდეს ჩემს კაბას. ეგეც რომ არ იყოს, ჩემბერლენის ძმისწულმა ძვირფასი ნივთები გამომიგზავნა. ვინ არ იცის, რომ ეს მეტი ჰღირს, ვიდრე ყვავილები.

— ვფიცავ პატიოსნებას, მეტის მეტად დაუნახავი ყოფილხართ,—სთქვა წყრომით სტუდენტმა და ვარდი ქუჩაში გადაისროლა. ვარდი ქვაფენილზე დაეცა. მიმავალმა ეტლმა გადაუარა, გასრისა.

— დაუნახავი?—წამოიძახა ქალმა,—თქვენ ვინღა ხართ? მხოლოდ უბრალო სტუდენტი. ვეჭვობ, რომ თქვენც ისეთივე ვერცხლის ღილები გქონდეს ფეხსაცმელებზე, როგორც ჩემბერლენის ძმისწულს.

ადგა და შინ შევიდა.

— რა საბრალო რამ არის სიყვარული!—ამბობდა შინ დამრუნებული სტუდენტი,—ლოღიკის ერთნახევრადაც არა ჰღირს, იმიტომ რომ არას ამტკიცებს, შეუსრულებელ იმედებს აღვიძებს და გაიძულებს დაუჯერებელს ერწმუნო. სრულებით უსარგებლოა. ჩვენს დროში კი კაცი სარგებლობის მომხრე უნდა იყოს. სჯობს ფილოსოფიას და მათემატიკას დავუბრუნდე.

შინ შესვლისთანავე ჩამტვერიანებული წიგნი გადმოიღო და კითხვას მოჰყვა.

Ee-me.

## მგზავრის შენიშვნები

(ხევი)

(დასასრული)

— მერე რასა შვრება ისეთსა?

— რასა, შენი ჭირიმე? მამასახლისი ბალღია, არა იცისრა და რასაც ის კაკარდიანი (შუბლ ვარსკვლავიანი) უბრძანებს მამასახლისაცა და ჩაფრებიც სულ იმას უგონებენ და ბეჩავი ხალხი კი ვიყვლიფებით და ვიღვერებით. რამდენს დასტყუა 40—60 თუმანი: შენს შვილს სალდათში არ წავაყვანინებო, მაგრამ შვილებიც წაიყვანეს და ფულიც დაიკარგა. ეხლა სამს ოთხს დღეში, 5 ურემი უნდა ბეგარა და ეს ჩაფრები დაუდგებიან ხალხს პურზედ თუ ქირაზედ მიმდინარსა ამ გაჭირვებაში და ოცი ოცდაათი ურემი არის საჭიროო, ვინც რამდენიმე მანათს მისცემს ჩაფრებსა და შუბლ-მასკვლევიანს იმას ძაუგში გაუშვებენ და ვინც არა, ბეგარაზედ მიჰყავს. იმის გარჩევაშიაც არ შედიან რომ ზოგი ჩვენებური ერთხელაც არ ყოფილა და ზოგმა ათჯერაც გადახედა ეს ბეგარა.

— მერე, რატომ არა სჩივით იმ კაკარდოსანს მწერალზედა?—შევეკითხე.

— რათ ვიჩივლოთ, შენი ჭირიმე? ბევრმა იჩივლა და მტყუანი ისევ მოჩივრები გამოვიდენ; თქვენვე დაირჯებით ტყუილს საჩივარს ზედაო დაემუქრნენ მომჩივნებსა. ორი წელი არ არის ეს მწერალი მშიარაი მოვიდა და ეგაი ეხლა რუსეთს წასულა ათას თუმნიანის ავტანდილაის საყიდლადა!

— ავთანდილა რაღა არის?

— რაი, შენი ჭირიმე. აი ემ გზაზედ, რომ დადიან უცხენოთა!

მაშინ უთხარ ავტომობილი მეთქი!

— ჰო, ჰო!

— ორს წელში სოფლის მწერალი ამდენს შეიძენდა?

— იქნება არ გჯერათ?

მიპასუხა გულ მწუხარეთ, ბრაზზედ მოსულმა მოხევემ და გამოიღო ვეებერთელა დავთარი უბიდან გადმიშალა და მითხრა. მე წაკითხვა კი ვიცი, მაგრამ წერა-კი შავი ქვის მეტი არ ვისწავლე რა კი იმ დროს სკოლა არ იყო აი ეს დავაწერინე ჩვენს ბალღსა, ის ბიჭაი ჩემათ არის და ორი წელია სკოლაჩი დადის აგები ამან მაინც რაიმე გაიგოს ქვეყნიარობისა მეთქი, არ კმარა, მე ვარ ასეთი ხეპრე და უბედური მეთქი.

გამოვართვი დავთარი და აღმოჩნდა სია იმ უბედური მსხვერპლისა, რომელთათვისაც ამ ორფეხა მგლებს ურთმევია საკმაოდ ბარაქიანი თანხა და მომაგონდა, მოსე მწერალი და მისი ისტორია.

სადაა, სადა ჩვენთვის მაშველ-პატრონი? აი, ეგ რკინის ხიდზედ დგანან ყოველს ღამეს აქაური ჩაფრები და ძაუგში მიმდინარს მეურმეს ხვდებიან, ბეგარისათვის ურმები გვინდაო და ხუთს და ექვს მანათსართმევენ ვისაც უჭირს უთუოთ ძაუხში წასულა, — ჩვენი სამამასახლისო ათას ორასი კომლი არის, ღამეში პურისთვის და ქირისთვის აღარც სამასი ურემი გაივლის ძაუგისკენა და 5 მანათობით ცოტას ფულს შააგროვებენ შენი ჭირიმე?

— რას აკეთებენ თქვენი ოცის თავები მაინცა რომ ამ გარემოებაა ყურს არ უგდებენ? რატომ არ აცნობებენ მთავრობას?

— ოცის თავებიც ამ დღეშია და ვაცის თავებიცა. ამ შუბლ მასკვლავიანმა ყველაი დააშინა!

მართლა და როგორც ამ მოხევემ დამარწმუნა, იმაზე მეტი მითხრა ათმა და ოცმა სხვამაც და ამ ხიდზედ უფრო მეტად რომ დავერწმუნებიყავი სიმართლეში, გავიარე მოხევის ურმითა, წამოვისხი მგზავრის ხალათი და გავკმინდე სული. გადუდგა ორი შეიარაღებული რაინდი—ვინა ხართო?——ესა და ესაო უპასუხეს მეურმეებმა.

— აბა ნუ მიხვალთ, ჩვენმა პირებმა წაიკითხა, ხვალ 30 ურემი დუშეთში უნდა წავიდეს ბეგარაზედ, მცხეთამდე შეშა არის საზიდიო.

ბევრი ევედრნენ, ბევრი ეხვეწნენ მეურმეები, ბევრმა მათგანმა დასარწმუნებელი ბარათებიც-კი წარმოუდგინა, რომ ჰაპარტაში მუშაობით ბეგარა გადაახდიეს, ნაგრამ არა გამოვიდა რა. ზოგმა 3—5 მანეთამდე გადაიხადა და ამნაირად 7 ურემმა ჩემის თანადასწრებით თავი გაინთავისუფლა.

ასეთი სურათი ვიხილე ხევში. ალბად მთავრობის ყურამდე არ მოსულა ეს ამბები, თორემ დაუსჯელად არ დასტოვებდა ასეთს ოავხედობას. იმედია ეხლა მაინც ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევენ ამ დაჩაგრულ ხალხს.

**მგზავრი.**

## გურიის აქეთურ-იქითური

**წარმოდგენების კვირა.** გასული კვირა, ესე იგი 19 თიბათვიდან*) მის სწორამდე ოზურგეთლებისათვის წარმოდგენა-მუსიკა-გალობის კვირა იყო... ღმერთმაააშენოს ქუთათურების სტატისტი გრ. ჩარკვიანის ოჯახი, რომელიც ოზურგეთელებს თავის ქონდრის კაცებით (ვითომდა დასით) არტისტად მოევლინა და საგასტროლო „ბატონი და ყმა“ დადგა, კაი ფეხის დარჩა, მის წასვლის შემდეგ მთელი კვირა გართობა-სიამოვნება არ მოკლებია „პლატონისეულ“ ქალაქს. რაკი „არტისტი“ ჩარკვიანი და მისი „დასი“ კულტურულ-გართობის წინამორბედი იყო, ამიტომ ორიოდე სიტყვით აღვნიშნავ მის ოზურგეთში სტუმრობა. რამდენადაც ვაკვირდები იმდენად ვრწმუნდები, რომ ყველა არტისტს (თუ გინდ ის არტისტიც არ იყოს) პროვინცია ისე აქვს წარმოდგენილი, როგორც შჩედრინის პომპადურ გუბერნატორებს სამაზრო ქალაქში, და მაზრის უფროსობა, ან და როგორც ყეყეჭ ბოქაულს (რომელიც მაზრის უფროსის „სიბრძნის“ წინაშე თრთის), სოფლელი მამასახლისი. ჩვენებურ არტისტს თუ ქალაქის სცენა უნახავს, ის ამის შემდეგ პროვინციას მედიდურად, სახელ მოხვეჭილი, გენერალ ინდოურივით გაფხვერილი ევლინება და იმადლება კიდეც—აბა პროვინციები მას როგორ დააფასებენ. ასე მოევლინა 15 ივნისს ქუთათური (იქ სტატისტათ ცნობილი) გრ. ჩარკვიანი ოზურგეთს, თავის ტიკინა მსახიობებით. წარმოადგინეს „ბატონი და ყმა“ ყმების როლში ჩვენ (პროვინციელები) ვიყავით, ბატონის როლი კი თვით შეასრულეს და აბა ყმამ ბატონს ვით ჰკადროს და მოახსენოს:—„ბატონო შენი ჭირიმე ამ მუხას ვაშლი არ ასხია!..“

21 ივნისს სცენის ადგილობრივმა მოყვარეებმა წარმოადგინეს „ქრისტინე“. ოზურგეთლების სასახელოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ მან შემდეგ რაც ბ-ნმა გერ. გოგიტიძემ თეატრის მშვენიერი შენობა გვაღირსა. წარმოდგენას ხალხი ყოველთვის სიამოვნებით ესწრება, თეატრის დარბაზი ყოველთვის ივსება. შემდგარია სცენის მოყვარეთა წრე, რომელიც ცდილობს ხალხს ხელოვნების პატივისცემა არ დაუკარგოს, ამ წრის თვალია ორი პატივცემული ქ-ნი ნ. თ-ძისა და პ. ქ-ძე. ვაჟებიც და სხვა ქალებიც თავის ნიჭის მიხედვით ცდილობენ ანსამბლი დაიცვან. მიუხედავათ იმისა, რომ „ქრისტინე“ ოზურგეთლებს ბევრჯერ უნახავთ, ხალხი მაინც ზედმეტი დაესწრო, ხსენებულ ორ სცენის იშვიათ ნიჭიერ მოყვარეს ხელს უწყობდა ორი ქალი ქ. ქ. ვ. ს-ძე და ა. ს-ძე, ორივე ნამდვილი გურული (იმ დროინდელი) სოფლელი გოგოები იყვნენ.

—

22 და 23 ივნისს იმავე თეატრში ბ-ნმა კ. ფოცხვერაშვილმა წაიკითხა თავისი ცნობილი ლექცია „სიტყვა-მუსიკობა“. დ. პ. ლექტორის დასახვედრად ოზურგეთი კი არა მთელი გურია ემზადებოდა. ლექციაზე დასასწრებლად ელოდნენ ეპისკოპოს ლეონიდეს, ალბად ამითი აიხსნება ის, რომ ლექციის მოსასმენად შეიკრიბნენ მღვდლები. ზოგი მათგანი 30—40 ვერსტის სიშორიდანაც კი მოვიდა. მიუხედავად ბილეთების სიძვირისა თეატრის დარბაზი სულ გაიჭედა და 100 მეტი ზედმეტი ბილეთიც გაიყიდა. ფოცხვერაშვილის ლექციის შესახებ იმაზე მეტი ჩვენ რაღა უნდა ვთქვათ რაც უკვე ითქვა და დაიწერა, მაგრამ მისმა ლექციამ გურულებზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა. ბ-ნ ფოცხვერაშვილისა არ იყოს დღეს გურიაში მოიპოვებიან კიდევ ძველი სიმღერა-გალობის მცოდნენი, მაგრამ ადამიანი თავის საუნჯეს ღირსად ვერასოდეს ვერ აფასებს. „თურაშაულის პატრონი ხშირად ტყეში კუწლს ეძებს“, გურიაშიაც ასე ხდება მშვენიერი ტკბილ და მართლ ხმოვანი ჩონგურის ნაცვლად გურულმა ქალებმა გიტარა შემოიღეს, ვაჟებიც „ხასანბეგურას“ მაგიერ „კეკელჯანს“ მღერიან. ბ-ნ ფოცხვერაშვილის ლექციამ კი ყველა დამსწრე დაარწმუნა, რომ გურული სიმღერა-გალობა და ჩონგურ-ჭიანური დასათმობი და სხვაზე გასაცვლელი არ არის, რადგან ოქროს თუჯზე მხოლოდ ბრიყვი გადასცვლის. სცენაზე ბ-ნ ფოცხვერაშვილს თავის ლექციის დასასაბუთებლად ეხმარებოდა დეკან. დავ. დუმბაძის გუნდი. მეორე დღესაც ლექციას სავსე აუდიტორია დაესწრო და ყველანი კმაყოფილნი დარჩნენ. ბ-ნ ფოცხვერაშვილს მეტადრე ეხერხება აგიტაცია და დიდი სასურველია მისი სახალხო ლექცია გურიის ყველა მოზრდილ სოფლებში განმეორდეს.

—

24 მოსწავლე ახალგაზრდობამ მას. სან. ჟორჟოლიანის მონაწილეობით ითამაშა დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“, რომლის შესრულებამ ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა და ქუთათურ ნაფიც არტისტებს ბევრად აჯობა. თეატრი სავსე იყო.

—

25 სცენის მოყვარეებმა ბ-ნ ფოცხვერაშვილის დახმარებით დასდგეს ფოცხვერაშვილის პიესა „აშენდა საქართველო“. ხალხი ამ წარმოდგენასაც ბევრი დაესწრო და ტაშისცემით დააჯილდოვეს ავტორი და მანუჩარის როლის მოთამაშე სცენის დიდათ ნიჭიერი მოყვარე ბ. სანდრო ჟორჟოლიანი.

—

კვირას 26 ივნისს სცენის მოყვარენი ბ-ნ ფოცხვერაშვილის თანხმობით ეწვიენ ლიხაურლებს, სადაც გაიმეორეს „ქრისტინე“ და ბ-ნმა ფოცხვერაშვილმა კიდევ თავისი ლექცია (სახალხოთ). ლიხაურის საზოგადოება ოზურგეთს 4 ვერსტზე აკრავს და დღეს გურიაში ყველაზე ფხიზელ საზოგადოებათ ითვლება. აქვს ორკლასიანი სკოლა (სახელოსნო ბაღით), სამკითხველო, კოოპერატივი (საკუთარი შენობა ქვითკირის ღირებული 4 ათას მანეთად) არსებობს წერ. კით. გამ. საზ. განყოფილება და სხვა. ძველი გალობა-სიმღერის მცოდნენი და ჩონგურზე დამკვრელნი ამ საზოგადოებაში ყველაზე მეტია და ეს მიეწერება ადგილობრივ მღვდელს გალობა-სიმღერის კარგად მცოდნეს და გამავრცელებელს მ. ნესტორ კონტრიძეს. გურიის სოფლებში დღეს მხოლოდ ლიხაურის ეკლესიას ყავს ძველებური მგალობლები. სკოლის ორი საკმაოდ ფართო დარბაზი ხალხით გაჭედილი იყო და ხალხის საყვარელი პიესა „ქრისტინე“ სულ განაბული მოისმინეს.

ბ-ნ ფოცხვერაშვილის ლექცია, რომელიც სანიმუშოთ ადგილობრივმა მოსიმღერე-მგალობლებმა (მღ. ნ. კონტრიძის ხელმძღვანელობით) შეასრულეს სიმღერა. (ყანური, ელესა, ალილო და სხვა) გალობით დაასრულეს. წარმოდგენის მთელი შემოსავალი (ხარჯს გარეთ) ათ თუმნამდე გადაეცა წერ. კით. ადგ. განყოფილების გამგეობას.

**ძველი**

*) თიბათვეს ანუ ივანობისთვეს გურულები ხშირი წვიმების გამო „ჩოხა დამპალან“ ეძახიან, წელს ისეთი პაპანაქება იყო „წყირვილით ჯაჯა (ძერა) კვდებოდა“.

## დაბა-სოფლები

**სოფ. ერთაწმინდა.** (ქართლი). 2 წლის წინად ერაწმინდაში დაარსდა საკრედიტო ამხანაგობა, რომელმაც თავმჯდომარის რაჟდენ ჯავროშვილისა და გამგეობის წევრების დიმიტრი კარგარეთელისა და ივანე ქაბუტაშვილის მეცადინეობით დიდი სარგებლობა მოუტანა ხალხს. წარსულ წელში ამხანაგობას 350 მანეთი დარჩა წმინდა მოგება. უკანასკნელ დროს ბ-ნი ქაბუტაშვილი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, ხოლო ბ-ნმა ჯავროშვილმა თანამდებობას თავი დაანება. საზოგადო კრებამ, რომელიც ამ დღეებში შესდგა წვრილ საკრედიტო დაწესებულებათა ინსპექტორის ბ-ნ გრიგოლიას თავმჯდომარეობით, დიდი მადლობა გამოუცხადა ქაბუტაშვილს და ჯავროშვილს და აირჩია ახალი გამგეობა: თავმჯდომარედ ბ-ნი დ. კარგარეთელი, ხოლო გამგეობის წევრებად—ნიკო ბალალაშვილი და მიხ. ჩოხელი.

ადგილობრივ ინტელიგენციის მეცადინეობით სოფელმა გადასწყვიტა გამოიყვანოს სოფელში მილის წყალი მთის წყაროებიდან. აქ უკვე ბანდებოდა ინჟინერი ლ. ნ. დიასამიძე, რომელმაც შეადგინა გეგმა და სოფელი შეუდგა წყლის გამოყვანის საქმეს. ამ საქმისათვის 1.900 მანეთი ასესხა სოფელს ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა საკრებულომ. ეს ფული საკმარისია მილების შესაძენად, მუშაობას კისრულობს თვითონ-ხალხი. ამ საქმის შესრულება სოფელმა მიანდო ახალქალაქის საზოგადოების მამასახლისს გიგო გოგოლაძეს.

სოფლის ყრილობამ დაადგინა აგრეთვე გახსნას დაუყონებლივ კოოპერატივი, რომლის წესდებაზე სოფლის რწმუნებულებმა უკვე მოაწერეს ხელი. კოოპერატივს აზრად აქვს მიაწოდოს სოფელს საჭირო საქონელი და აგრეთვე გაასაღოს სოფლის ნაწარმოები, მაგალითად, ერბო, ყველი, მატყლი და სხ., რომლებიც აქედან ბლომად გააქვთ ჩარჩებს.

**ლ—ი.**

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომის | სამგზ. | № 17, | 8.27 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 19, | 3.19 | დღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | | № 4, 7 „ | 58 „ | დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | | № 3, . 7 „ | 58 „ | საღ. |

## გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის (პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

An die Kommandatur
des Kriegsgefangenenlagers

აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.

Liebesgaben für die russischen Kriegsgefangenen.

აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.

Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse, № 48, А. А. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russepour les prisonnier de guerre.

**ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ** შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія Заказное
Suisse. Recommandée
Comité International de la Croix Rouge.
Agence des prisonniers de guerre Genève.

**ხილეული, მადნეული წყლის** მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლაღიძის** და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის **ნამდვილი სამკურნალო** წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეჰყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლაღიძის წყლის** ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო **სამრეწველო მინისტრის** მიერ პეტროგრადში ៊ თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი“




**მხოლოდ და მარტო ლაღიძის** წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე

სუნი და გემოც საამური აქვს

წლ.

**ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა ៊ წიგ. მაღაზია**

„განათლება“-ში

**იყიდება** ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“,“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзэ.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

თევზის მრეწველნი

ძმ. მესხელოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. **„ლ. მაილოვის-ძეთ,** სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალადა,** მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი“** ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.